როლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

[illegible] საჯარო ბიბლიოთეკა

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველს პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 163 ოთხშაბათი 18 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 163

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— ბულგარეთის შავრაზმელები სდევნიან რუსეთის წითელი ჯვრის მისიას საბჭოთა მთავრობამ უკან გამოიწვია რუსეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელი ბულგარეთში.

— რუსეთში მოდიან ამერიკელი სენატორები მდგომარეობის ადგილობრივ გასაცნობათ.

— რიგის კონფერენცია დასრულდა.

— ოსმალეთში არჩევნებში იმარჯვებენ ქემალისტები.

— საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს გაანთავისუფლოს ამხ. მარტი.

ქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 20 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

ის წესრიგი წამოყენებული იქნეს რაიკომებისა და უჯრედების მიერ

ტფილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

ამიერ-კავკასიის კომპარტიების ყველა პარტიულ კომიტეტებს

სოფელზე ქალაქის შეფობის შესახებ.

1. უპარტიოთა შორის მუშაობის -ერთი ძირითადი მეთოდთაგანი, ლაქის შეფობა სოფელზე უნდა არდეს პარტიულ კომიტეტების ალო ზედამხედველობის და ხელვანელობის ქვეშ.

2. შეფებად შეიძლება იყონ ქალა- წარმოებათა, დაწესებულებათა, განიზაციების მუშათა გაერთიანე- ბი და აგრეთვე წითელი არმიის ილები.

3. სოფლებს შორის შეფების უფ- მიზან-შეწონილად განაწილების ნით, ეწყობა პარტიულ კომიტე- თან საშეფო კომისიები შემდეგი დგენლობით:

) პარტიულ კომიტეტის, 2) ახალრდ. კომკავშირის კომიტეტის, 3) ოფესიონალური კავშირთა საბჭოს, ალმასკომის, 5) სახალხო განათ- ბის განყოფილების, 6) მიწად-მო- ების განყოფილების და 7) წი- ლი არმიის წარმომადგენლები.

. ქალაქის შეფობა სოფლებზე ისა- შემდეგ მიზნებს:

) სოფლის იაჩეიკისათვის ინსტრუ- ების მიწოდება და დახმარების ვა იაჩეიკის აპარატის მოწყობის მეში.

) სოფლისათვის ყოველმხრივი და- რების გაწევა მის კულტურულ, ურნეო და სხვა სამუშაოებში.

) გლეხების გაცნობა მნიშვნელო- პოლიტიკურ ამბებთან და საბჭო- ხელისუფლების ღონისძიებებ- .

4) ამგვარად სოფელსა და ქალაქს რის კავშირის განმტკიცება.

5. წარმოებანი, ორგანიზაციები და წესებულებები, რომელთაც სურთ ონ შეფობა, წინასწარ იხილავენ თხს კომიაჩეიკის ან ახალგაზრ- თა კომკავშირის იაჩეიკის ღია ებაზე, ან მუშა-მოსამსახურეთა სა- ადო კრებაზე და მატერიალურ თა და მუშაკთა რაოდენობის მი- ვით ადგენენ მიემაგრონ ერთ ან ენიმე სოფელზე.

. შეფების მიმაგრება შეფობის მყოფ სოფელზე სწარმოებს პარ- ულ კომიტეტების საშეფო კომი- ბის საშუალებით.

7. შეფობის მიმაგრების და სოფ- ბის ამორჩევის დროს პარტიულმა იტეტებმა და საშეფო კომისიებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

) პირველ რიგში უნდა მიემაგრონ ელს ქალაქის ის წარმოებანი ან წესებულებანი, სადაც არსებობენ ერი კომიაჩეიკები ან ახალგაზ- კომკავშირის იაჩეიკები.

) შეფობის ქვეშ უნდა იყონ პირ- რიგში ის სოფლები, სადაც არტიის და ახალგ. კომკავშირის ეკები არსებობენ და სადაც მომ- რია განსაზღვრული დიფერენცია- .

. შეფების მუშაობა უნდა მდგო- ობდეს შემდეგში:

) შეფების მიერ სოფლისათვის რმაციის მიწოდება მნიშვნელო- პოლიტიკურ ამბების შესახებ სა- შორისო და საბჭოთა რესპუ- ების მასშტაბით.

) საუბარი გლეხებთან შემდეგ სა- ებზე: ანტირელიგიური პროპა- , სამეურნეო აღმშენებლობა, სახადო პოლიტიკა, ბრძოლა ტიზმთან, საბჭოთა ხელის- ების შინაარსი და სხვა.

) გლეხებისათვის დახმარების გა- სოფლის სკოლების სამკითხვე- ქოხების და ბიბლიოთეკის გა- საქმეში.

) განმარტება იმისა, რომ საჭი- მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა და ამ დარგში გლეხებისათვის ენერგიული დახმარება.

5) სოფლისათვის გაზეთების და ბროშიურების მიწოდება, როგორც ლიტერატურის წარმომადგენლებთან ერთად გაზეთების და ბროშიურების გაგზავნით, ისე გაზეთებზე ხელის მოწერით და სოფლის საბჭოებისათვის დახმარების გაწევით სამკითხველო ქოხებისა და ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შერჩევისა და შეძენის საქმეში.

6) მოწყობა მოძრავ ბიბლიოთეკებისა, რომელიც შეფების წარმომადგენლებთან ერთად იმოგზაურებს საშეფო სოფლებსა და უბნებში.

7) ბროშიურების და გაზეთების კითხვა წერა-კითხვის უცოდინართათვის და სამკითხველო ქოხებთან წერა-კითხვის მცოდნე გლეხთა მიერ მუდმივი კითხვის მოწყობა.

8) წარმოდგენების, კონცერტების, საბავშვო სეირნობათა და ექსკურსიების გამართვა.

9) ინფორმაციის მიწოდება ქალაქში წარმოებულ მუშაობის შესახებ და სასოფლო საბჭოსა და უბნის აღმასკომისათვის დახმარების გაწევა საქმის დაყენების დროს.

10) გლეხთა საჩივრის მოსმენა, რომელიც შეეხება ხელისუფლების ორგანოების და წარმომადგენელთა უწესო მოქმედებას, მათთვის რჩევის მიცემა, ვის უნდა მიმართონ საჩივრით და თავის მხრივ სათანადო ზომების მიღება კომპარტიის სამაზრო კომიტეტების და სამაზრო აღმასკომების საშუალებით.

11) შეფობის ქვეშ მყოფ სოფლებისათვის დახმარების გაწევა სასოფლო კოოპერატივების და კოოპერატიულ მუშაობის დაყენების საქმეში.

12) სოფელთან ეკონომიურ კავშირის მოწყობა (პირველ ხანებში თუნდაც ეპიზოდიური ხასიათის), მუშათა კოოპერატივების და წარმოებების გლეხთა კოოპერატივებთან სამეურნეო ურთიერთობის დამყარებით და ღარიბ გლეხთა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთების საშუალებით.

13) გლეხ-ქალთა შორის მუშაობა პარტ. კომიტეტთა მუშა-ქალების განყოფილებათა დირექტივების მიხედვით.

14) პარტიის და ახალგაზრდ. კომკავშირის სოფლის იაჩეიკებისათვის დახმარების გაწევა, მათთვის რჩევის მიცემა, მათი აპარატის მოწყობა, ლიტერატურის მიწოდება და სხვა.

9. შეფების მთელი მუშაობა სოფლად სწარმოებს პარტიის ან ახალგაზრდ. კომკავშირის იაჩეიკებთან ერთად და ამ მუშაობას უნდა ჰქონდეს პარტიულ-საბჭოთა ორგანოებისათვის დახმარების ხასიათი და არავითარ შემთხვევაში მათ ფუნქციებში ჩარევისა. შეფების ყველა პრაქტიკული ღონისძიებანი გლეხების საჩივრების გამოსარკვევად უნდა გატარდეს მხოლოდ და მხოლოდ სამაზრო კომიტეტებსა და აღმასკომების საშუალებით.

10. პარტიული კომიტეტები პერიოდულად (არა ნაკლებ თვეში ერთხელ) იწვევენ შეფების წარმომადგენელთა თათბირებს მუშაობის და მისი შედეგების აღსარიცხავად და ერთ შეფების გამოცდილების მეორეების მიერ გამოსაყენებლად.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტსაპროპაგანდო განყოფილების გამგე
ა. ხააკიანი.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგ. განყოფილების გამგე— გოლუბევა.

ქალაქის შეფობა სოფელზე

ლაქის სოფელთან მჭიდრო ეკო- ურ-კულტურული კავშირის გან- ების საკითხს კომპარტია და თა ხელისუფლება ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა, ყო- ვარ ზომებს ღებულობდა გლე- სთან დასაახლოებლათ და მისი მარეობის გასაუმჯობესებლად. მართულებით მიღებულ ყველა ნისძიებათა ჩამოთვლას აქ არ ებით, შევეხებით მხოლოდ ერთ- შორიგ ღონისძიებას, რომელიც თან უფრო მეტ და ფართო გა- ლს პოულობს, როგორც ქალა- სე სოფლის მშრომელთა შორის. ის ქალაქის შეფობა სოფელზე. ში უკვე წარმოებათა და და- ულებათა მთელმა რიგმა მიიღო თავზე ამა თუ იმ სოფელზე ბა, მომავალში სოფლების რიცხვი აუცილებლად გაიზ- . აღსანიშნავია, რომ უმთავრე- ლაქის თვით მუშათა მასსები და საწარმოო დაწესებულებები ღებულობენ თავის თავზე ინიციატივას სოფელთან დაკავშირების საკითხში, მისი ეკონომიურ-კულტურული ინტერესების დაცვის საქმეში. ეს ნათლად მოწმობს ქალაქის პროლეტარიატის სრულ შეგნებას და იმ კავშირის მნიშვნელობის გათვალისწინებას, რომელიც თავდებია მუშურ-გლეხური დიქტატურის სიმტკიცისა.

სოფლის ეკონომიურ-კულტურული განვითარება ნელის ტემპით სწარმოებს, ვერ სწვდება ქალაქის ზღაპრულ წინსვლას, რომლისთვისაც მრავალი ხელშემწყობი პირობები არსებობს.

ყოველი ახალი იდეა, მეცნიერულტეხნიკური მიღწევა ქალაქში იბადება, ვრცელდება და სოფლამდე ხშირად ან სრულებით ვერ აღწევს ან დიდი დაგვიანებით.

სოფლის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი ხშირად სრულიად უცნობია ქალაქისათვის, რომელიც ცენტრია ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა და როგორც ასეთს, მას სრული და ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სოფლის მდგომარეობაზე. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი მშრომელი გლეხობის ინტერესების სრული გათვალისწინება და სახელმწიფო პოლიტიკის მასთან შეფარდება. ამიტომ სოფელთან დაახლოების და მასთან კავშირის განმტკიცების საკითხს ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა.

სოფლებზე შეფობის მიღება ქალაქის მუშების მიერ, ერთერთი ზომაა გლეხობასთან დასაახლოებლად. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაერთიანება, მისთვის სისტემატიური ხასიათის მიცემა, სათანადო გეგმის გამომუშავება. რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარი, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში, დაწვრილებით აღნიშნავს, თუ რა დანიშნულება და მიზანი აქვს ქალაქის სოფელზე შეფობას და რა შინაარსის უნდა იყოს ეს მუშაობა.

ამ ცირკულიარის თანახმად შეფების მიზანშეწონილ განაწილებლად პარტკომებთან არსდება საშეფო კომისიები, რომლებიც ქალაქის დაწესებულებებს მიუთითებენ ამა თუ იმ სოფელზე მისი მზრუნველობის ქვეშ ასაყვანათ.

თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ სოფელთან შეფები კავშირს იჭერენ სოფელში არსებულ კომუჯრედის საშუალებით. სოფლების თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანა პირველად ყოვლისა უნდა იდვას თავზე იმ წარმოებებმა და დაწესებულებებმა, სადაც ძლიერია კომუჯრედი ან ახალგაზრდათა კომკავშირის ორგანიზაცია.

შეფებმა უნდა ეცადონ გააცნონ გლეხობას ქვეყნის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა, მთავრობის მიერ წარმოებული მუშაობა, მიაწოდონ მას ჟურნალ-გაზეთები, ხელი შეუწყონ სოფლად სამკითხველოების მოწყობას და მათი მუშაობის გაფართოებას, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, წარმოდგენათა და ექსკურსიათა მოწყობას და სხვა. მათ გულდასმით უნდა მოისმინონ გლეხთა საჩივრები მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთა არაკანონიერი მოქმედების შესახებ, შესაფერი რჩევა-დარიგების მიცემით.

შეფებმა ხელი უნდა შეუწყონ თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ სოფლის ეკონომიურ აღორძინებას სასოფლო კოოპერატივების მოწყობით, მათთვის დახმარების მიწოდებით, კავშირის დამყარებით მუშკოპებთან და ქალაქის წარმოებებთან; ამასთანავე სოფლის ღარიბ გლეხობისთვის სასოფლო სამეურნეო იარაღების შეკეთებით და მიწოდებით. ამნაირად შეფების მუშაობისთვის მეტად ფართო გეგმაა დასახული, რომლის განხორციელება დიდათ ხელს შეუწყობს გლეხობის კულტურულ-ეკონომიურ წინსვლას და სოფლად საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიმპატიების გაძლიერებას.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება წერილი ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების მუშების მიერ მოწყობილ მოგზაურობაზე სოფელ ოლგინსკოეში და სოფელ დიდ ლილოში. გლეხობა დიდი სიხარულით და იმედით შეხვედრია ქალაქიდან ჩასულ მუშებს, აუხსნია თავისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებას კიდეც დაპირებია ლითონის განყოფილება.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი იქნება ჩვენში, მხოლოდ საჭიროთ მიგვაჩნია ერთ რამეზე მიუთითოთ. შეფებმა სოფლებისთვის დახმარების მიწოდება თავის საშუალებებიდან, საკუთარი შრომის ნაყოფიერების გაზრდით უნდა მიიღონ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებისთვის თანხების გამოთხოვა შეფების მიერ, როგორც ამას ადგილი ქონდა წითელი ჯარის ნაწილებზე შეფობის მიღების დროს, აზრს უკარგავს ამ მუშაობას. სახელმწიფოს თავის ბიუჯეტიდან გლეხობისთვის დახმარების მიცემა თვითონვე შეუძლია, ამისთვის საჭირო არ არის შეფობა.

აქვე აღსანიშნავია ის, რომ ქალაქიდან დაშორებული სოფლები უფრო მეტად ჩამორჩენილია, მეტ დახმარებას და მზრუნველობას საჭიროებენ. მათთან კავშირის დაჭერა უფრო ძნელი საქმეა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი და როგორც შეფებმა, ისე საშეფო კომისიებმა აუცილებლად ყურადღება აქეთ უნდა მიაქციონ და გამონახონ საშუალება შორეულ სოფლებთან კავშირის დასაჭერათ მათზე მზრუნველობის გამოსაჩენად.

საქმე უკვე დაწყებულია; ის გამოძახილი, რომელიც ჰპოვა ქალაქის მუშებში სოფლების თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანამ, სრულ იმედს იძლევა, რომ ეს მუშაობა თანდათან უფრო გაცხოველდება, თანდათან უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს. ქალაქის და სოფლის მჭიდრო კავშირის განმტკიცება და მით სოფლის კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისთვის ხელი შეწყობა იმდენად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა, რომ ყველამ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულმა მოქალაქემ და მით უმეტეს პარტიულმა ამხანაგებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ მიზნის განხორციელებას და გამოიჩინონ ენერგიის მაქსიმუმი.

სოციალურ აღზრდის ახალი სისტემა

სახალხო განათლების კომისარიატი აზროვნებს ნორმალურ სკოლას, როგორც ორ საფეხურიან ცხრაწლედს, რომელშიაც ბავშვები გადადიან საბავშვო ბაღიდან და 17 წლისანი ამთავრებენ მას. ამნაირად მიღწეული იქნება მიზანი ფართო პოლიტეხნიკური განათლებისა. ცხრაწლიან სკოლიდან გამოვლენ ცხოვრებისათვის მომზადებული ახალგაზრდები, რომელნიც ადვილად შეიგნებენ გარემო სინამდვილეს და, დაემყარებიან რა თავის ცოდნას და შრომის უნარს, შესძლებენ შემოქმედებითი მუშაობას და ახალი ცხოვრების აგებაში მონაწილეობის მიღებას. გარდა ამისა, სათანადო მომზადების გამო, მათ შეეძლებათ უმაღლეს სკოლაში მეცნიერებების შეთვისება, სადაც—ცხრაწლედის დამთავრების შემდეგ—თავისუფალი გადასვლის უფლება ექნებათ.

ეს ის იდეალია, საითკენაც ჩვენ მივისწრაფით, მაგრამ, რასაკვირველია, უტოპია იქნებოდა დღესვე გვიფიქრა ცხრაწლედის მასიურ სკოლად გამოცხადების შესახებ. მკაცრი სინამდვილე, რომელიც გამოიხატება საზოგადოდ რესპუბლიკის და კერძოდ მუშა-გლეხების მძიმე ეკონომიური მდგომარეობაში, გვაიძულებს საყოველთაო და სავალდებულო სწავლების ბაზად დროებით შვიდწლედი და ზოგიერთ პუნქტებში ოთხწლედი გამოვაცხადოთ. ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში პირველ რიგში სავალდებულო საყოველთაო მასსიურ სკოლად უნდა ვაღიაროთ ოთხწლედი, ე. ი. პირველი საფეხური, რომელზედაც ფაქტიურად, სხვა და სხვა გარდამავალი მიზეზების გამო, სწყდება სწავლა მრავალ და მრავალ ბავშვებისა.

ოთხწლედზე უნდა ავაგოთ მეოთხე საფეხურის პირველი კონცენტრი—სამწლედი, რაც შედეგად მოგვცემს შვიდწლედს, რომელზედაც შესწყდება აგრეთვე ბევრ ბავშვების სწავლა-განათლება.

შემდეგი ზოდი—ორწლედია, მეორე საფეხურის მეორე კონცენტრი.

<table>
<tr><th colspan="5">ს ო ც ი ა ლ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა</th></tr>
<tr><td colspan="5">სასკოლო ასაკამდე აღზრდა 4 წლიდან—7 წლამდე</td></tr>
<tr><td rowspan="3">9 წლედი</td><td rowspan="3">მთლიანი შრომის სკოლა</td><td>1-ლი საფ.</td><td rowspan="2">შვიდ წლედი</td><td>ოთხწლედი საყოველ. სავალდ. და მასიური 7 წლ.—14 წლამდე</td></tr>
<tr><td rowspan="2">მე-2-რე საფეხ.</td><td>სამწლედი 1-ლი კონცენტრი 11 წლ.—16 წლამდე</td></tr>
<tr><td colspan="2">ორ წლედი 2-რე კონცენტრი 15 წლიდან—17 წლამდე</td></tr>
</table>

ამ სქემამ შეიძლება გააკვირვოს განათლების მუშაკნი. აქ არ არის დაცული ბავშვთა ასაკის ერთფეროვნება საფეხურებისა და კონცენტრების მიხედვით. აქედან წარმოიშვება, რასაკვირველია, ასაკის შესაფერი ინტელექტუალური განვითარების დონეს და ინტერესების სხვადასხვაობა ერთსა და იმავე ჯგუფში, რ.-ც, ეჭვს გარეშეა, სწავლის ნორმალურად მსვლელობის ხელის შემშლელი იქნება. მაგრამ ჩვენ გამოვდივართ არა თეორიულ მოსაზრებებიდან და პედაგოგიკის აბსოლიუტურ მოთხოვნილებებიდან, არამედ იმ გარემოებებიდან, რომ სხვა და სხვა ჰასაკის ბავშვები, განსაკუთრებით სოფლებში, სკოლის გარეშე სდგანან და საჭიროა მათი გატარება ახალი ტიპის სკოლაში.

ახალ სკოლებში მუშაობის დაწვრილებითი ინსტრუქციები და პროგრამები მზადდება ამ ჟამად სხვა და სხვა კომისიებში და თავის დროზე წარედგინება განათლების მუშაკთ.

ამ პატარა წერილში მე მინდოდა მხოლოდ გამეცნო მასწავლებლობა სოციალურ აღზრდის ახალ სქემასთან და მიმეცა მათთვის ახალი შრომის სკოლაში მუშაობის საერთო გეგმა.

ახალ სკოლას ჩვენ უდებთ საძირკვლად ბუნების შესწავლას და მოზარდ თაობაში შრომის უნარის გაღვიძებას და გაძლიერებას. შრომის პროცესში კაცი იგნებს ბუნებას და იმუშავებს თავის მსოფლ-მხედველობას, მეორე მხრივ, იმავე შრომიდან თანდათანავე წარმოიშობა ჩვენი საზოგადოებრივი წესწყობილება.

წერა-კითხვის და ანგარიშის გაძლიერებული წესით შესწავლასთან ერთად 4 წლედი უნდა აწარმოებდეს მეცადინეობას ისე, რომ ბოლოს და ბოლოს მისცეს მუშა გლეხების ბავშვებს რაც შეიძლება ფართო ზოგადი განათლება.

ჩვენი მიზანია მოვაწყოთ სკოლა ისე, რომ ის შეესაბამებოდეს ცხოვრების მოთხოვნილებას, იყოს მიზანშეწონილი და შინაარსით სავსე, ემყარებოდეს მტკიცე პროგრამებს, აცნობდეს ბავშვებს წარსულს, შრომისა და საზოგადოების ისტორიას და ბოლოს უხსნიდეს მათ პრაქტიკულ ხასიათის კითხვებს, თუ როგორ შეიძლება ბუნებით სარგებლობა, ცხოვრების შემომქმედათ გახდომა და სხვა.

მაგრამ ამ ფართო მასიური სკოლით არ განისაზღვრება ზოგადი განათლების მიზანი ყველა ბავშვების. აქედან გამომდინარეობს მეორე საფეხურის,—სამწლედის—შექმნის საჭიროება, რომელიც ოთხწლედთან ერთად შვიდწლედს წარმოადგენს, საზოგადო განათლების ფართო პროგრამებით. მას მიზნად ექნება დასახული განავითაროს მოწაფეები ისე, რომ მათ ბუნებაში და ცხოვრებაში სწორი ორიენტაციის უნარი ჰქონდეთ, ადვილად შეეძლოთ გაიგონ მიმდინარე მოვლენები და, თან ხმად ახალი ცხოვრების მოთხოვნილებისა, შეიმუშაონ თავისი გონებრივი და ფიზიკური პირადი მოთხოვნილებები. ეს მეტად საჭიროა, რადგან ბავშვთა დიდი ნაწილი შვიდწლედით დაამთავრებს თავის სწავლა-განათლებას და გავა ცხოვრებაში სამუშაოთ. შემდეგ იწყება მეორე საფეხურის მეორე კონცენტრი ორწლედი. ამ კონცენტრის მიზანია იმ ცნობების და ცოდნის გაღრმავება, რომელიც გადასცა ბავშვს პირველმა კონცენტრმა. გარდა ამისა, ეს კონცენტრი მიისწრაფის გამოიწვიოს და გააღრმავოს ბავშვში მუშაობის უნარი, შეასწავლოს მას გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანიზაციის მეთოდები.

პროგრამები ისე უნდა იქნას შედგენილი, რომ მათი საშუალებით შეიძლებოდეს მოსწავლე ახალგაზრდობაში მარქსისტული მსოფლ-მხედველობის შემუშავება და გამაგრება.

ზოგადი განათლების მინიმუმი, რასაკვირველია, განსაზღვრული უნდა იყოს ამ მეორე კონცენტრისათვისაც (ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ფიზიკური და ესთეტიური აღზრდა და სხვ.) ეს მინიმუმი უნდა შეადგენდეს საერთო მუშაობის სავალდებულო ნაწილს. უკანასკნელ წელს მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ამა თუ იმ სპეციალობის თავისუფალ ამორჩევით (სამეცნიერო, სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიალური და ჰუმანიტარული) რაც საშუალებას მისცემს ბავშვს განავითაროს თავისი ნიჭი იმ მიმართულებით, საითაც მას მეტი მისწრაფება აქვს. ეს თავისუფალი არჩევა საუკეთესოდ მოამზადებს მას შრომისათვის.

მეცადინეობა აქ უნდა სწარმოებდეს სტუდიური და ლაბორატორიული მეთოდებით.

მარიამ ორახელაშვილისა.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

რუსეთის ცნობის გარშემო

რუსეთი და ჩეხო-სლოვაკეთი. ბენეშის განცხადება.

ვენა. 14 ივლისი. ჩეხ ლეგიონერების თათბირზე ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკეთის მთავრობა ყოველთვის მიდიოდა რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. **რუსეთის მდგომარეობა თანდათან მტკიცდება. რუსეთის გამორიცხვა ევროპის სახელმწიფოთა სისტემიდან ცუდ გავლენას იქონიებს მთელ ევროპაზე, კერძოთ კი ჩეხო-სლოვაკეთზე, რომელსათვის რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა.**

რუსეთი და სამხრეთ-სლავია.

ვენა. 14 ივლისი. **სამხრეთ-სლავიის მთავრობასთან დაახლოვებული გაზეთი „ტრიბუნა“ სწერს: „მთავრობა მოვალეა განაახლოს ურთიერთობა რუსეთთან, რადგან სამხრეთ-სლავიის ყველა წრეებს, განურჩევლათ მიმართულებისა, აშკარათ ეტყობა განწყობილება რუსეთთან დაახლოვების სასარგებლოთ. რუსეთის მთავრობა იცნო რუსეთის ხალხის უდიდესმა ნაწილმა; ინგლისი, იტალია, ჩეხო-სლოვაკია და საფრანგეთიც კი დარწმუნდენ იმაში, რომ რუსეთთან აუცილებელია დამოკიდებულების განახლება. საჭიროა გაიგზავნოს რუსეთში ისეთი პირი, რომელიც შესძლებს მოაგვაროს დამოკიდებულება“, დაასკვნის გაზეთი.**

სტოკჰოლმი. 14 ივლისი. შვეციის ფირმის „აესა“-ს დირექტორმა ლირდერმა, რომელიც დაბრუნდა მოსკოვიდან, განაცხადა, რომ **რუსეთის მდგომარეობა საგრძნობლათ გაუმჯობესდა და იქ ამ ჟამათ სწარმოებს შეგნებული მუშაობა მრეწველობის ვაჭრობის და ტრანსპორტის აღსადგენათ.** ლირდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთთან აუცილებელია დაუყოვნებლივ იქნეს განახლებული და დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

რუსეთი და ამერიკა.

ნიუ-იორკი. 14 ივლისი. რუსეთში მიემგზავრება ამერიკის ორი სენატორი—დემოკრატი კინგი და უპარტიოთა ლიგის წევრი ლედდი. „როსტას“ კორესპონდენტთან საუბარში ლედდმა განაცხადა, რომ რუსეთში გამგზავრების მიზანია სასოფლო მეურნეობის, განათლების და ეკლესიის ნამდვილი მდგომარეობის და პირობების შესწავლა. **ამერიკა განსაკუთრებით იჩენს ინტერესს რუსეთისადმი, როგორც მისი მომავალი კონკურენტისადმი ხორბლეულობის ვაჭრობის სფეროში.**

კინგმა, საბჭოთა ხელისუფლების ყოფილმა მტერმა და რუსეთის ცნობის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, განაცხადა: „წინად, მართალია, ვიყავი მტერი საბჭოთა ხელისუფლების, მაგრამ ეხლა მხარს ვუჭერ რუსეთის ერთა ლიგაში დაუყოვნებლივ შესვლას. საბჭოთა ხელისუფლება გონიერად იქცევა, როდესაც უცხოელებს აძლევს რუსეთში მოგზაურობის საშუალებას. თუ იქიდან ცნობის მომხრე დავბრუნდი, ჩემს სიტყვებს მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე იმათსას, რომელნიც წინად კეთილგანწყობილნი იყვნენ რუსეთისადმი.

კინგის განცხადება მაჩვენებელია ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეთა რეაქციულ ნაწილის შეხედულებათა შეცვლისა, რომლებმაც შეიგნეს, რომ რუსეთის ცნობა,—ეს ისტორიული აუცილებლობაა და ეძებენ ხელსაყრელ შემთხვევას თავიანთ შეხედულებათა შესაცვლელად.

რუსეთი და ბულგარეთი

რუსეთის წითელი ჯვარი ბულგარეთში.

მოსკოვი. 15 ივლისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ნანსენს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც აცნობებს მას ბულგარეთის ხელისუფლებისა და ვრანგელის მომხრეების მიერ რუსეთის წითელი ჯვრის მისიის დევნის შესახებ ბულგარეთში.

ქალაქში (დამახინჯებულია) რეპატრიაციის მომხრე რუსეთის მოქალაქეები სტრემოუხოვი და გაიდუკოვი აწამეს ქალაქის უფროსის სამმართველოში. რუსეთის მისიის მეთაურმა კარეცკიმ ორჯერ მიმართა ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით მისიის დაცვის შესახებ, მაგრამ ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო. ვრანგელის მომხრეებისა და ბულგარეთის რეაქციონერების თავაშვებულება დამთავრდა პლევნაში წითელი ჯვრის ადგილობრივ რწმუნებულის შელეპუგინის მოკვლით, რომელიც დატუსაღებული იყო ბულგარეთის ხელისუფლების მიერ. იმის გამო, რომ რუსეთის წითელმა ჯვარმა აქამდის ვერ მიიღო დაკმაყოფილება ამ მკვლელობისათვის და აგრეთვე მისიის მეორე თანამშრომლის აგეევის მკვლელობისათვის და აგრეთვე იმიტომ, რომ ბულგარეთში არ არის წარმომადგენელთასიცოცხლის დაცვის გარანტიები, რუსეთის წითელი ჯვარი იძულებულია გამოიწვიოს ბულგარეთიდან თავისი წარმომადგენლები.

რუსეთის მთავრობა სთხოვს ნანსენს გადასცეს ბულგარეთის მთავრობას, რომ ის ბულგარეთის მთავრობას სთვლის პასუხისმგებლათ ბულგარეთში დარჩენილ რეპატრიანტების შემდეგი ბედისათვის.

შავრაზმელების მუშაობა.

ვენა. 13 ივლისი. ბულგარეთის გადატრიალების დღიდან, რუსეთის წითელი ჯვრის მისიაზე ბულგარეთში, დაიწყო თავდასხმა რუსეთისა და ბულგარეთის კონტრ-რევოლიუციონურ წრეების მიერ; ამას წინათ შეიარაღებულ პირთა ჯგუფს უნდოდა მისიის შენობაში შესვლა, მაგრამ დროზე იყო შემჩნეული. მიუხედავათ მისიის მიერ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის მიმართვისა, არავითარი თავდაცვითი ზომები არ იყო მიღებული.

ივნისის ბოლო რიცხვებში ბულგარეთის ხელისუფლების მიერ დატუსაღებული და ნაცემი იყო კომენდატურაში მისიის 3 თანამშრომელი; მათ კომუნისტობას აბრალებდენ. პროვინციებში ატუსაღებენ და ასახლებენ წითელი ჯვრის რწმუნებულებს და აგრეთვე „რუსეთში დაბრუნების კავშირის“ მუშაკებს, რის გამო მუშაობა რუსეთის სამხედრო ტყვეების დასაბრუნებლათ შეჩერებულია.

მცირე ანტანტა

თათბირობენ.

ვენა. 15 ივლისი. მცირე ანტანტის წარმომადგენელთა კონფერენცია გაიხსნება 20 ივლისს სინაიაში (რუმინეთი). კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ გარდა მცირე ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრებისა, ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ-სლავიის და რუმინეთის პრემიერებიც. პოლონეთი ოფიციალურად არ მიიღებს მონაწილეობას.

რიგის კონფერენცია

კონფერენციის შედეგები.

ვარშავა. 15 ივლისი. ვარშავის პოლიტიკურ წრეებში აშკარად ლაპარაკობენ რიგის კონფერენციაზე პოლონეთის დიპლომატიის მარცხის შესახებ.

პოლონეთის დელეგაციის სტრასბურგერის წინადადება რუსეთის საკითხში შეხედულებათა შეთანხმების და ერთა ლიგაში **პოლონეთის წარმომადგენლის სკირმუნდის ბალტიის სახელმწიფოთა დელეგატად დასახელების შესახებ, უარყოფილ იქნა.**

რუსეთის საკითხში საბოლოოდ გაიმარჯვა თვალსაზრისმა, რომელიც ბალტიის ზღვის სანაპირო სახელმწიფოების მთავრობებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის საქმეში,

რიგა. 15 ივლისი. სტრასბურგერმა ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლონეთის დამოკიდებულება ბალტიის სახელმწიფოებისადმი არ შეცვლილა და მათ დამოკიდებულებას საფრთხე არ მოელისო. მშვიდობიანობის დასაცავად სტრასბურგერი დაჟინებით მოითხოვს მჭიდრო თავდაცვითი კავშირის მოწყობას.

პოლონეთში ფიქრობენ, რომ რიგის **კონფერენცია გამოიწვევს გარდატეხას ბალტიის სახელმწიფოების თანამშრომლობის მხრივ და არ იქნება მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, რაც არც ერთ მონაწილეს არა სურს.**

„რაბოტნიკი“ აღნიშნავს, რომ ბალტიის სახელმწიფოებმა დაჰკარგეს წინანდელი ნდობა პოლონეთისადმი და თანდათან ფეხს იკიდებს ესტონეთსა, ლატვიასა და ლიტვას შორის კავშირის იდეა. პოლონეთის ინტერესებს შეადგენს ხელი შეუშალოს ამ კავშირის მოწყობას. გაზეთის აზრით, საჭიროა პოლონეთის განმტკიცება ბალტიის ზღვაზე და პოლონეთ-ლიტვას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება.

საკონტრიბუციო საკითხი

ბალდვინის სიტყვის გარშემო.

პარიზი. 14 ივლისი. საფრანგეთის პრესა საერთოდ ბალდვინის სიტყვის შესახებ თავს იკერს კომენტარიებისაგან. ბურჟუაზიული გაზეთები ხაზს უსვამენ სიტყვის მეგობრულ ტონს, მაგრამ, იმავე დროს, აცხადებენ, რომ ინგლისის თვალსაზრისი სრულად გამოირკვევა მხოლოდ ინგლისის პასუხის შემდეგ გერმანიის ნოტაზე.

„ტან“-ის სიტყვით ყველაფერი დამოკიდებული იქნება ამ პასუხის შინაარსისაგან.

გერმანიის გაზეთების აზრი.

ბერლინი. 14 ივლისი. გერმანიის გაზეთები ფიქრობენ, რომ ბალდვინის განცხადება რურის საკითხს დასძრავს მკვდარ წერტილიდან და პუანკარეს პროვოკაციული პოლიტიკა აიძულებს ინგლისს შემდეგი ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით. გაზეთები აცხადებენ, რომ გერმანია ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ინგლისს და ენერგიულათ გააგრძელებს პასიურ წინააღმდეგობას.

შემთანხმებლები კმაყოფილნი არიან

ლონდონი. 14 ივლისი. ტრედ-უნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოსა და მუშათა პარტიის აღმასკომის წარმომადგენლების გაერთიანებულმა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ესალმება ბალდვინის დეკლარაციას და აღნიშნავს, რომ ინგლისის მუშათა კლასი გადაჭრით კიცხავს ყოველგვარ ცდას მტრული დამოკიდებულების შექმნის შესახებ საფრანგეთისა და ინგლისის ხალხებს შორის, ძმურათ ესალმება საფრანგეთს და პირდება ხელი შეუშალოს ორივე ერის თანამშრომლობის ყოველგვარ დარღვევას დიად ბრძოლაში საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის.

საფრანგეთის მთავრობის აზრი.

პარიზი. 14 ივლისი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მცირე მნიშვნელობას აძლევს ბალდვინის დეკლარაციას და უცდის ნოტას, რომელიც უნდა შეიცავდეს ინგლისის პასუხის პროექტს გერმანიის ნოტაზე. გაზეთები ხაზს უსვამენ ერთიანი მოქმედების აუცილებლობას. „მატენი“ აცხადებს, რომ მთავრობა დიდის ყურადღებით მოეპყრობა ინგლისის პასუხის ტექსტს და შეეცდება ლოიალური და მშვიდობიანობის მოყვარულ წესით მიუდგეს მას. შესაძლებელია, რომ საფრანგეთის მთავრობა დათმობებზე წავიდეს, თუ ისინი საფრანგეთის არსებით ინტერესებს არ შეეხებიან. ნაციონალისტურ წრეებში, პირიქით, ბალდვინის დეკლარაციაში ხედავენ პირველ გამოწვევას საფრანგეთის მიმართ და ინგლისის კაბინეტის განსაზღვრულ ხრიკს, რომელიც ამერიკის დახმარებაზეა დაყრდნობილი. რადიკალურ წრეებში ეშინიათ მთავრობის გამოსვლის, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს პალატების არდადეგებით.

ბალდვინის დეკლარაციის გარშემო.

პარიზი, 15 ივლისი. ბალდვინის დეკლარაციაში „ტან“-ი ხედავს კონტინენტალურ სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართულ ინგლისის ტრადიციულ ბრძოლის პოლიტიკის დამტკიცებას. **„ჟურნალ დე დება“ აღნიშნავს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის შეხედულებები შეურიგებელნი არიან.**

გაზეთი „ევრი“ პასუხისმგებლობას შექმნილ მდგომარეობისათვის აკისრებს პუანკარეს პოლიტიკას; გაზეთის აზრით, პუანკარეს ჩადგომამ საფრანგეთის მთავრობის სათავეში ხელი შეუშალა მოკავშირეების ურთიერთ ფინანსიურ გარანტიებისა და კონტრიბუციის მთელ რიგ საკითხების გადაწყვეტას.

რურის ოლქის ოკუპაცია

რკინისგზელების გადასახლება.

ბერლინი. 14 ივლისი. ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლება აგრძელებს რურიდან რკინისგზელების გადასახლებას. განკარგულებები გადასახლების შესახებ ეცნობება უკანასკნელ მომენტში, რის გამოისობითაც გადასახლებულთ საშუალება არა აქვთ წაიღონ თან ყველაზე უფრო უსაჭიროესი საგნებიც კი.

ფრანგების თავდასხმა.

ბერლინი. 14 ივლისი. ფრანგებმა დაიკავეს ელბერფე და ბარმენი, მაგრამ ისევ დასტოვეს ეს ქალაქები რამოდენიმე საათის შემდეგ.

თანამდებობის პირთა მთელი რიგი, მათ შორის ვიცე—ბურგომისტრი, წაყვანილი არიან ძევლებათ. საფრანგეთის მთავრობის განცხადებით, ქალაქების დაკავება გამოწვეული იყო თითქოს გერმანიის პოლიციის თავდასხმით საფრანგეთის პატრულებზე.

ლოზანას კონფერენცია

კონტაქტი აღდგენილია.

პარიზი. 17 ივლისი. მოკავშირეებმა და ოსმალებმა ოფიციალურათ განაახლეს კონტაქტი ორშაბათ დილით ექსპერტების სხდომაზე.

გაზეთები იტყობინებიან, რომ მოლაპარაკება გაგრძელებული იქნება დღისითაც.

საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა.

პარიზი, 17 ივლისი. უკანასკნელ ცნობების მიხედვით საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მოსალოდნელია 24—25 ივლისს. რუსეთმა მოპატიჟების თანახმად 5 დღის განმავლობაში უნდა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ლოზანაში.

ახალი კრიზისი.

პარიზი. 14 ივლისი. ლოზანის კონფერენცია სრულიად მოულოდნელად ახალი კრიზისის წინაშე დადგა იმ უთანხმოების გამო, რომელმაც თავი იჩინა სტამბოლის საზღვაო ძალებისაგან ევაკუაციისა და კონცესიების საკითხის გარშემო. ოსმალები მოითხოვენ უცხო გემების ევაკუაციას ქვეითა ჯართან ერთად. **მოკავშირეებს კი განზრახული აქვთ გაიყვანონ თავისი ფლოტი მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ძალაში შევა შეთანხმება სრუტეების შესახებ.**

მოკავშირეებმა შესწყვიტეს სხდომა და განაცხადეს, რომ მიღწეული შეთანხმება ოსმალეთის ვალის პროცენტების გადახდისა და ევაკუაციის საკითხების შესახებ **გაუქმებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები არ დასტოვებენ თავის პოზიცი-**

ახ კონცესიების საკითხში. მოკავშირეებს განზრახვა აქვთ თავის მთავრობებს მიმართონ ინსტრუქციებისათვის.

ოსმალეთის დელეგაცია უარყოფს კრიზისის სერიოზულობას და ამტკიცებს, რომ ეს უკანასკნელი არის შედეგი ინგლის საფრანგეთის ინტერესების დაჯახებისა ნავთისა და რკინის გზების საკითხში.

— ანგორის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ცნობას, თითქოს მან რწმუნება მისცა უკვე იხმეტ-ფაშას ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას.

მდგომარეობა სერიოზულია.

ლონდონი. 14 ივლისი. „ტაიმს“-ი ლოზანის კონფერენციაზე შექმნილ ახალ კრიზისს ხსნის ოსმალების სურვილით წაუსისიანონ ერთი კონცესიონერი მეორეს. გაზეთები ამტკიცებენ, რომ თუ ოსმალები გააგრძელებენ იმის დასამტკიცებელ საბუთების მოცემას, რომ მათ არ შეუძლიათ იმოქმედონ დასავლეთ-ევროპის ტრადიციების მიხედვით, მაშინ მოკავშირეებს სერიოზულად მოუხდებათ დაფიქრება შექმნილ მდგომარეობაზე.

მოკავშირეთა „ერთიანი ფრონტი“.

პარიზი. 16 ივლისი. მოკავშირეთა დელეგატებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ წარმოშობილ დაბრკოლებათა მიმართ ისინი დაადგებიან საერთო გარკვეულ პოზიციას. ოსმალებს გაეგზავნებათ ახალი ნოტა, რომელიც მოკავშირეთა აზრით შესაძლებელად გახდის მოლაპარაკების განახლებას.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთის პრესა ახალი კრიზისის შესახებ.

ანგორა. 12 ივლისი. „ენი გიუნ“-ი აღნიშნავს კონფერენციაზე განწყობილების შეცვლას და მოყავს მოკავშირეთა რამდენიმე ახალი მოთხოვნილება ევაკუაციის საკითხში და კონცესიების შესახებ. „ევაკუაცია—სწერს გაზეთი—სრული უნდა იყოს დადებულ კონვენციებთან მოკავშირეთა მოთხოვნილებებს არავითარი კავშირი არა აქვს. თუ მოკავშირენი ამ აზრზე დაგვთანხმდებიან, მაშინ ოსმალეთის დელეგაცია საზავო ხელშეკრულობაზე ხელს მოაწერს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ოსმალეთში დაბრუნდება“.

„ენი გიუნ“-ის მეორე წერილში ნათქვამია: „ლოზანაში მდგომარეობა იცვლება. არ ვიცით, სტამბოლიდან ჯარის გაყვანის დროს, გაიყვანენ თუ არა ფლოტსაც. სპეკულიანტებს არ მოსწონთ ოსმალეთის მიერ ამერიკული კაპიტალის მოწვევა. ლოზანამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხები უნდა გამოარკვიოს“.

„ხაკიმიეტ მილიე“ სწერს: ლოზანაში მზადდება თავდასხმა ჩვენს ეკონომიურს დამოუკიდებლობაზე. მოკავშირეები თხოულობენ უკანონო უპირატესობათა მინიჭებას რამდენიმე საზოგადოებისათვის. ჩვენ გვრწამს, რომ გაიმარჯვებს სალი გონება ეგოისტურ ინტერესებზე, და გვწამს, რომ მომავალში საზავო ხელშეკრულებაც ხელმოწერილი იქნება“.

არჩევნები.

ანგორა. 12 ივლისი. არჩევნებში ქემალისტებმა გაიმარჯვეს მთელ წყება ადგილებში, მათ შორის ქ. მერსინაში, ბრუსაში, ესკი-შეხირსა და კონიში.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი.

მარტის განთავისუფლება.

პარიზი. 15 ივლისი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ახლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება მარტის ამნისტია.

ლატვია.

როგორ ებრძვიან მუშებს.

რიგა. 15 ივლისი. სეიმის სხდომაზე სოციალ-დემოკრატმა რუდევიცმა კრიტიკა გაუკეთა პროვოკაციის სისტემას, რომელსაც ლატვიის „ოხრანკა“ ატარებს; ეს უკანასკნელი მუშათა ორგანიზაციების შენობებში ისვრის პროკლამაციებს და ხელის გრანატებს. მენშევიკური პარტია პროტესტს აცხადებს პროვოკაციის სისტემის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ „ოხრანკა“ საჭიროა. მასიური დატუსაღება და ჩხრეკა მუშებს შორის გრძელდება. დატუსაღებულთა რიცხვი—200—დეა.

შვეიცარია.

სინამდვილე ირკვევა.

პარიზი. 14 ივლისი. „ჟურნალ დე ჟენევი“-ს ცნობით მეფის რუსეთის წითელი ჯვრის მდივანმა, პოლუნინმა გამომძიებელთან დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მან იცოდა კონრადის განზრახვა ვოროვსკის მოკვლის შესახებ და ხელს უწყობდა მას თავდასხმის მზადებაში.

ეს ჩვენება ეწინააღმდეგება კონრადის მტკიცებას, თითქოს თავდასხმის ორგანიზაციის მოწყობა ეკუთვნის მხოლოთ მას პირადათ.

იტალია

ფაშისტების საარჩევნო რეფორმა.

რომი. 14 ივლისი. სამი საათის გაცხოველებულ კამათის შემდეგ საარჩევნო რეფორმის შესახებ, პალატა შეუდგა პროექტის კენჭის ყრას. დეპუტატ ჩინგოლანმა, პარლამენტის ფრაქციის—პოპოლარის სახელით, განაცხადა, რომ ფრაქცია ხმას მისცემს მთავრობისადმი ნდობას, მაგრამ მოითხოვს პროექტის რეფორმაში ცვლილებების შეტანას. დიდი სიტყვით გამოვიდა მუსოლინი. „კამათი, განაცხადა მან, ეხება არა მარტო საარჩევნო რეფორმას, არამედ—ფაშისტური მთავრობის მთელს პოლიტიკას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წინა ორატორების სიტყვებში ისმის უხეიროთ დამალული ანტიფაშისტური განცხადებები. იმ შემთხვევაში, თუ ვოტუმი არა სასურველი იქნა, განაცხადა მუსოლინმა პარლამენტი იქნება დაუყოვნებლივ დაშლილი მაშინ, როდესაც რეფორმის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ახალი არჩევნების დაუყოვნებლივ დაწყებას. ბოლოს მუსოლინმა განაცხადა, რომ იმდენათ, რამდენათ ის შეურიგებლათაა განწყობილი თავის მოთხოვნილებებში საარჩევნო რეფორმის მიღების საქმეში, იმდენათვე ის დაადგება დათმობის გზას და მიანიჭებს პარლამენტს სრულ თავისუფლებას რეფორმის პროექტში ტეხნიკურ ცვლილებების შეტანის მხრივ. მუსოლინის სიტყვა იფარება აპლოდისმენტებით. პალატა ფეხზე ასრულებს ფაშისტურ ჰიმნს. ყოფილი პრემიერები ჯიოლიტი, ორლანდო და სალანდრა გაცხოველებულათ თათბირობენ მუსოლინთან. ნდობის ფორმულას ხმას აძლევენ ყველა ფრაქციები, გარდა სოციალისტებისა და კომუნისტებისა. თუმცა სოციალისტებმა ხმა მისცეს წინააღმდეგ. საერთო შრომის კონფედერაცია აცხადებს, რომ ის პოლიტიკურია დ ემხრობა ნდობის ვოტუმს. პოპოლარის პარტიაში მოხდა განხეთქილება. ზოგიერთებმა თავი შეიკავეს ნდობის საკითხის კენჭის ყრაში მუსოლინის ზეგავლენის ქვეშ, რომ ის ნდობას უკავშირებს საარჩევნო რეფორმის კითხვას. ნდობის ფორმა გადის 303 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 40-სა, შვიდი თავს იკავებს. საარჩევნო რეფორმას მხარს უჭერს 285 წინააღმდეგ 139, თავს იკავებს 77. უკანასკნელთ წარმოადგენს პოპოლარის ფრაქცია ორის გამორიცხვით, რომელთაც ხმა მისცეს რეფორმას.

ავსტრია.

სოც.-დემ. ორგანიზაციების კონფერენცია.

ვენა. 15 ივლისი. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციაზე ფრიდრიხ ადლერმა გაილაშქრა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებთან ერთად გამოსვლის წინააღმდეგ. ამგვარად სოციალ-დემოკრატები ამჯობინებენ მანდატების დაკარგვას ბურჟუაზიულ პარტიების სასარგებლოთ, ოღონდ არ გამოვიდენ კომუნისტებთან ერთად.

ამერიკა

„უორკერს პარტი“-ს მანიფესტი.

ნიუ-იორკი. 15 ივლისი. „უორკერს პარტი“-ს გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც პარტიის ყველა წევრებს მოუწოდებს შეუერთდნენ ახლად გაერთიანებულს ფერმერთა პარტიის ორგანიზაციას. „უორკერს პარტი“-მ თავისი მუშაობით უნდა დაუმტკიცოს ფერმერთა პარტიის ორგანიზაციას, რომ იგი მართლაც კომუნისტური პარტია არის.

სენატორ ბორას სიტყვა.

ნიუ-იორკი. 15 ივლისი. პორტლანდში წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა რუსეთის შესახებ, სენატორმა ბორამ მოითხოვა დაუყოვნებლივ მოწვევა საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციისა, ომის საფრთხის და ევროპის სრული ეკონომიური განადგურების თავიდან ასაცილებლათ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვა ჩრდილო ესპანეთში.

პარიზი. 16 ივლისი. ბილბაოდან იტყობინებიან, რომ მაღაროს მუშათა გაფიცვა მოედო ქვანახშირის მაღაროთა მთელს მისადევარს.

ბანკის მოსამსახურეთა გაფიცვა.

რომი. 16 ივლისი. ესპანეთის ბანკის მოსამსახურეებმა დაადგინეს გამოცხადდეს გაფიცვა, სინდიკატის თავმჯდომარე ვალენციის მოკვლის გამო პროტესტის გამოსაცხადებლად.

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი. 15 ივლისი. 13 ივლისს გაიხსნა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი.

ამხ. რადეკის მოხსენება.

მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. რადეკი, რომელიც შეეხო ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა, რურის რაიონის ოკუპაციას, ინგლის-ამერიკის შეიარაღებას იაპონიის წინააღმდეგ და გერმანიის მარკის კატასტროფიულ დაცემას. „კაპიტალისტურ ქვეყნებში, სთქვა ამხ. რადეკმა, კაპიტალის შეტევა თავის უმაღლეს განვითარებას აღწევს, პარალელურათ ამასთან იზრდება მუშების კლასიური შეგნება და ძლიერდება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატის აქტივობა“ ამხ. რადეკმა საჭიროთ აღიარა სერიოზული ყურადღების მიქცევა გერმანელ ფაშიზმისათვის, რომლის გამარჯვება საშუალო ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაში დიდ გართულებას გამოიწვევს. გაკეთებულ უნდა იქნეს ყველაფერი. რაც კი შესაძლებელია, რომ გერმანიისა ან ჩეხო-სლოვაკეთის კომპარტიებმა არ გაიმეორონ იტალიისა და ბულგარეთის კომპარტიების შეცდომები.

პლენუმის მოწოდება.

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა მოწოდებით მიმართა იაპონიისა, კორეიისა და ჩინეთის მშრომელ ახალგაზრდობას, რომელშიაც პროტესტს გამოსთქვამს მილიტარისტების ძალადობის წინააღმდეგ იაპონიის, კორეიისა და ჩინეთის ახალგაზრდობაზე; ახალგაზრდობის კომინტერნი დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობა ძალადობასა და დატუსაღებებს თავის რიგების კიდევ უფრო გამტკიცებით უპასუხებს.

აღმასკომის მოხსენება.

კომინტერნის აღმასკომის 17 ივლისის სხდომაზე მოსმენილ იქნა აღმასკომის ანგარიში, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მესამე კონგრესის შემდეგ გასულ დროის განმავლობაში, ახალგაზრდობის კომინტერნი შესამჩნევათ გაიზარდა. ახალგაზრდობის კომინტერნის გავლენა, მიუხედავათ დაუსრულებელ დევნისა ყველა ქვეყნებში, თანდათან იზრდება. სოციალ-დემოკრატების გავლენა ახალგაზრდობაზე კლებულობს, პირველ რიგში სდგას მასიური მუშაობის გაძლიერება ფაბრიკებსა და ქარხნებში და პროფკავშირებში, და აგრეთვე განმანათლებელ მუშაობის ამაღლება. აღმასკომის მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

ამხ. მიხაილოვის მოხსენება.

მოსკოვი. 16 ივლისი. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმში მოისმინეს ამხ. მიხაილოვის მოხსენება ომის საფრთხისა და მილიტარიზმის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდათა კავშირს საკმარისად არ უმუშავნია არმიის ნაწილებში, საკმარისად არ გამოუყენებია ახლო აღმოსავლეთისა და შორეულ აღმოსავლეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ანტიმილიტარისტულ კამპანიის გაძლიერება ყოველთვის, როდესაც კი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ყოფილ მენშევიკურ პარტიის ქუთაისის სამაზრო კონფერენცია

პირველი სხდომა.

კვირას, 8 ივლისს, დღის პირველ საათზე, სახ. თეატრში გაიხსნა ს. ს. დ. მ. პ. (მენშევიკების) ქუთაისის სამაზრო კონფერენცია.

ამხ. კ. შენგელიას სიტყვა.

კონფერენცია გახსნა ამხ. კიმოთე შენგელიამ შემდეგი მიმართვით: ამხანაგებო, დღევანდელი დღე ისტორიულ დღეთ უნდა ჩაითვალოს საქართველოს მუშათა კლასისათვის. დღეს ხდება გაერთიანება იმ ორ ძმის, იმ ორ მიმართულების, რომელნიც რამდენიმე ხნის განმავლობაში მტრულად იყვნენ განწყობილნი ურთიერთ შორის. მენშევიკური პარტიის მუშა წევრების შესვლა კომინტერნში არის უდიდესი გამარჯვება მუშათა კლასისა და მედგარი შეტევა ბურჟუაზიის წინააღმდეგ საერთო ძალით.

ჩვენი მტრულ განწყობილებაში ყოფნა უხაროდა ბურჟუაზიას, მაგრამ დღევანდელი ფაქტი ამ სიხარულს ბოლოს ულებს; იგი საუკეთესო დამამტკიცებელია ჩვენი ძლიერებისა საერთო მტრის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენს კავშირს კომ. პარტიასთან. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას (მქუხარე ტაში და ინტერნაციონალი).

კონფერენციის პრეზიდიუმ"ი არჩეული იქნენ: ჭუმბურიძე თეიმურაზ, შენგელია კიმოთე, კვიცარიძე გრიგოლ, კორძაია ალექსანდრე, ჯიბლაძე ვასილ, გალდავაძე მიტროფანე, ქაჯაია, ვ., კალაძე, ა. და მამფორია.

საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩიეს: **ლენინი, მარტინოვი, ცეტკინი, ზინოვიევი, მახარაძე, ცხაკაია** და სხვები.

ამხ. თ. ჭუმბურიძის სიტყვა.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. თეიმურაზ ჭუმბურიძემ, ქუთაისის მაზრის სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრთა კონფერენციის პირველ სხდომას გახსნილად ვაცხადებ. მოგესალმებით თქვენ, აქ შეკრებილ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებს, მენშევიკური პარტიის საუკეთესო რევოლიუციონურ ნაწილს. მოგესალმებით აგრეთვე ამ კონფერენციაზე მოწვეულ სტუმრებს.

ამხანაგებო, ოცი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რ. ს. დ. პარტიაში სხვადასხვა ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის დროს მოხდა განხეთქილება, და ამ მთლიანი პარტიიდან წარმოიშვა ორი მიმართულება, გაჩნდა ორი ფრაქცია—ბოლშევიკური და მენშევიკური. ეს განხეთქილება, პარტიის ორ ფრაქციათ გათიშვა, იმ თავითვე საზიანო იყო იმ კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რომელსაც ეს პარტია დღიდან თავისი წარმოშობისა ეყრდნობოდა, იგი იმ თავითვე შემაფერხებელი იყო რუსეთის პროლეტარიატის დიადი საქმისათვის. ამიტომ პარტიის ქვედა წრეებიდან, მუშათა წრეებიდან იმ თავითვე გაისმოდა ენერგიული ხმა პარტიის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. მაგრამ პარტიის გაერთიანება არ მოხერხდა და რაც უფრო რთული მოვლენების წინაშე სდგებოდა პარტიიდან წარმოშობილი ეს ორი ფრაქცია, მით უფრო შეურიგებელი ხდებოდა იდეოლოგია და ტაქტიკა ამ ორი მიმართულებისა. სანამ ბოლოს ისტორიულმა მსვლელობამ, რევოლიუციის სინამდვილე ბრწყინვალე გამარჯვება ბოლშევიკებს არ მიანიჭა. 25 ოქტომბრის აქტს, რუსეთის პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებას უდიდესი მნიშვნელობა მიეცა არა თუ რუსეთის რევოლიუციის გადარჩენისათვის, არამედ მსოფლიო სოციალური რევოლიუციისათვისაც. აი, სწორედ **ბოლშევიკურ ტაქტიკისა და იდეოლოგიის ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ვაღიარებთ ჩვენ დღეს, უარვყოფ იმ გზას, რომლითაც მენშევიკური პარტია მიდიოდა რევოლიუციის პროცესში და ვდგებით ოქტომბრის რევოლიუციის მიერ ნაჩვენებ გზაზე და მის მებრძოლ რიგებში.** ამ დიდი ისტორიულ და რევოლიუციონური ნაბიჯის გადადგმა პირველად წილათ გვხვდათ თქვენ: გისურვებთ ამ დიადი მიზნის ბრწყინვალეთ შესრულებას.

ამხანაგებო, ჩვენ შორის არის ის ადამიანი, რომელსაც ათეული წლები გაუტარებია ჩვენი პარტიის მოწინავე მებრძოლ რიგებში. ჩვენ შორის არის ის ყოფილი ბელადი რუსეთის მენშევიკური პარტიისა, რომელმაც პირველად თავისი ავტორიტეტული სიტყვით აღიარა სისწორე იმ რევოლიუციონური გზისა, რომლითაც ოქტომბრის რევოლიუციის მესვეურები მიდიოდენ და მიემხრო მას; ის ბოლომდი ერთგული დარჩა რუსეთის პროლეტარიატის დიადი საქმისა, მან არ უღალატა პროლეტარულ რევოლიუციის წითელ დროშას. გთხოვთ მიესალმოთ ჩვენს ძვირფას მასწავლებელს, ამხ. მარტინოვს. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მარტინოვის მისალმება.

კონფერენციას პირველი მისალმა რუსეთის მენშევიკურ პარტიის ყოფილი ბელადი და დღეს კომუნისტურ პარტიის წევრი ამხ. მარტინოვი, რომელმაც აღნიშნა ის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რომელსაც იგი ანიჭებს ამ კონფერენციას. მარტინოვი ეხება იმ პროკლამაციას, მენშევიკების ცეკას მიერ გამოცემულს, სადაც ნათქვამია მენშევიკებისთვის ნაჩვევი ქუჩური სიტყვებით, რომ დღეს აქ თავი მოუყრიათ ქართველი ხალხის მოღალატეთ, რომ აქ მოსულნი მოყიდული არიან კომუნისტებისგან, რომ კონფერენცია მოწვეულია „ჩეკას“ შიშით და სხვა ამხ. მარტინოვი ამბობს—ეს ჩემთვის არ არის ახალი, რადგან ასეთ ხმებს ავრცელებს „სოციალისტ. ვესტნიკი“, რომელიც იძულებულია ეს დაშლა მენშევიკურ პარტიისა „ახსნას“ მხოლოდ, როგორც შედეგი „ჩეკას“ მუშაობისა. ამხ. მარტინოვს სასაცილოდაც არ მიაჩნია ასეთი „ახსნა“ მენშევიკების „ცეკასი“, რადგან მას პირადათ რუსეთშიც ბევრი შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ბევრი ძველი მენშევიკი სრულის შეგნებით, თავისი ნება-სურვილის მიხედვით სტოვებს პარტიას, ბევრნი მიმართავენ მას, როგორც მოსკოვის, პეტროგრადის, ისე სხვა ქალაქების—ძველი პარტიული მუშაკები-წერილებით, რომ ისინი სტოვებენ მენშევიკურ პარტიას. ეს მიმართვები ისეთი ხასიათისაა, რომ მასზე „ჩეკას“ გავლენის მიწერა შეუძლიათ მხოლოდ წყალწაღებულთ. მენშევიკების ცეკა აქ შეგროვილთ უწოდებს ქართველი ხალხის მტრებს; ამის საპასუხოთ ჩვენ ვაცხადებთ: დიაღ, ჩვენ მტრები ვართ ქართველი ხალხის ნაწილის, იმ ნაწილის—რომლის შემადგენლობა არიან—ბურჟუები და მემამულენი, მაშინ, როდესაც მისი უდიდესი ნაწილის—მუშების და ღარიბი გლეხების ჩვენ პირველი მეგობრები ვართ. შორს არ არის ის დრო, როდესაც მენშევიკურ პარტიას დასტოვებს ყველა შეგნებული წევრი, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდება იმაში, რომ მენშევიკურმა პარტიამ საბედისწეროთ დასტოვა რევოლიუციის და სოციალიზმის გზა. „ჩემი ყოფილი მეგობრების“ „სოციალისტ. ვესტნიკი“ გამოსთქვამს იმედს, რომ მე, მარტინოვი არ „დავეცემი“ ისე, რომ სათავეში ჩაუდგე მენშევიკური პარტიის დაშლის ორგანიზაციულად ჩამოყალიბების და მისგან ყველა რევოლიუციონურ ელემენტების გამოსვლის პროცესს. მე უნდა გავაბათილო მათი იმედები: „დიაღ, დიდის აღფრთოვანებით, სურვილით და ენერგიით მე ვკიდებ ამ საქმეს ხელს—ვინაიდან ეს არის უდიდესი საქმე—რევოლიუციას დაუბრუნო რევოლიუციის გაფანტული ძალები“ (მხურვალე ტაში).

სხვა მისალმებანი

შემდეგ კონფერანციას მიესალმენ ს. კ. პ. ცეკას წარმომადგენელი ამხ. შ. ლეჟავა, საქ. ც. ა. კომიტეტის სახელით ამხ. ვ. სტურუა, ქუთაისის პარტ. კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბახტაძე, სენაკის ყოფილ მენშევიკების წარმომადგენელი ამხ. გოროძე, სვანეთის მენშევიკების წარმომადგენელი ამხ. ონიანი და სხვები.

დღის წესრიგი.

მისალმებების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1) ბოლშევიზმი და მენშევიზმი;
2) პროლეტარული რევოლიუცია და მსოფლიო მენშევიზმი;
3) ეროვნული საკითხი.
4) ჩვენი მომავალი სამოქმედო გზა.
5) არჩევნები ს. ს. დ. მ. პ. სრულიად საქართველოს კონფერენციის მომწვევ საინიციატივო ბიუროსი.
6) არჩევნები დელეგატების სრულიად საქართველოს კონფერენციაზე.
7) მიმდინარე კითხვები.

სამანდატო კომისიაში აირჩიეს: ჭარხალაშვილი, იოსელიანი, ვაშაკიძე, უგლავა და თოდუა.

კონფერენციის პირველი სხდომა დაიხურა სამ საათზე.

მეორე სხდომა.

კონფერენციის მეორე სხდომა გაიხსნა საღამოს 8 საათზე.

თავმჯდომარეობს ამხ. თ. ჭუმბურიძე. წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშა ტყიბულის მაღაროს მუშებიდან, სადაც ტყიბულის მაღაროს მუშები ესალმებიან კონფერენციას და იმედს გამოთქვამენ, რომ კონფერენცია შესძლებს დღის წესრიგში დასმულ საკითხების მუშათა კლასის სასარგებლოდ გადაჭრას.

მოხსენება „ბოლშევიზმის და მენშევიზმის“ შესახებ გააკეთა ამხ. მარტინოვმა. მოხსენების ირგვლივ კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. კონფერენციის მეორე სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

მესამე სხდომა

მესამე სხდომა გაიხსნა 9 ივლისს დილის 10 საათზე. თავმჯდომარეობს ამხ. ჭუმბურიძე. კონფერენციის წინადადებით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა: ამხ. ლენინს, ზინოვიევს, რ. კ. პ. ცეკას, საქართველოს კომ. პარტიის ცეკას, ამხ. ამხ. მახარაძეს და ცხაკაიას. მარტინოვის მოხსენებას თარგმნის ამხ. გ. კვიცარიძე. შემდეგ შემოტანილი იქნა შეკითხვები, რომლებზედაც ამხ. მარტინოვმა ვრცლად უპასუხა. მოხსენების გარშემო კამათი არ ყოფილა. შემოტანილი იქნა წინადადება—დღის წესრიგიდან მოიხსნას მეორე და მესამე კითხვა, რადგან ეს კითხვები ამხ. მარტინოვის მოხსენებაში სავსებით იქნა გაშუქებული. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

მომავალი სამოქმედო გზა.

მომავალი სამოქმედო გზის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ამხ. **კ. შენგელია.** იგი აღნიშნავს, რომ უკვე მარტინოვის მოხსენებიდან და მის შესახებ მოცემულ შეკითხვებიდან აშკარად სჩანს, თუ როგორი იქნება და უნდა იქნეს ჩვენი მომავალი სამოქმედო გზა. **ძველი გზა მენშევიზმისა—გზა დემოკრატიის, დამფუძნებელი კრების ბურჟუაზიასთან კოალიციის—სამუდამოთ უარყოფილია ჩვენ მიერ.** და რადგან არსებობს კიდევ მხოლოდ ერთი გზა—კომუნისტური ინტერნაციონალის გზა—პროლეტარიატის დიქტატურისა, საბჭოების მართვა-გამგეობისა—ამიტომ ჩვენ აქ აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ **ჩვენ ვდგებით ამ მეორე გზაზე, კომუნისტური ინტერნაციონალის გზაზე, ჩვენ მენშევიკურ ორგანიზაციებს ვაცხადებთ გაუქმებულად, უკვე არ არსებულად** და მივაქვს ჩვენი პარტიის მიერ გაცემული მანდატი მეორე ინტერნაციონალში უკანვე. კომუნისტური პარტიების რიგებში შესულნი—ჩვენ ვხდებით წევრნი მესამე ინტერნაციონალის. სხვა მიხვეულ-მოხვეული გზები ჩვენთვის არ არსებობენ. ჩვენი პრაქტიკული მუშაობის საგანს კი შეადგენს—მთელ საქართველოს მასშტაბით—დავამთავროთ ეს საქმე—მენშევიკურ პარტიის რევოლიუციონურ ძალების—მუშების და გლეხების ორგანიზაციულად გადაყვანა ჩვენ მიერ უკვე აღიარებულ გზაზე კომუნიზმის გამარჯვებისა.

ამავე საკითხზე სიტყვას ღებულობს ამხ. **ჭუმბურიძე**: მარტინოვმა უკვე განმარტა მენშევიზმის დაშლა და ომის და ოქტომბრის რევოლიუციის დროს განსაკუთრებული მისი კონტრ-რევოლიუციონური ბუნება. იმპერიალისტურ ომში მენშევიკები ამოუდგნენ გვერდში ნაციონალურ ბურჟუაზიას და დაიწყეს მასთან თანამშრომლობა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც საკითხი იდგა მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვების ან დამარცხების შესახებ. კომუნისტურ პარტიამ ალლო აუღო მომენტს და სათავეში ჩაუდგა რევოლიუციას მაშინ, როდესაც მენშევიზმი სრულიად დაშორდა მას.

მენშევიზმი და ბოლშევიზმი

ამხ. მარტინოვის მოხსენება.

(გაგრძელება. იხ. № 162).

რევოლიუცია მოახდინეს ბოლშევიკებმა.

თუ ჯამს გაუკეთებთ მენშევიკებისა და ბოლშევიკების ტაქტიკას ომის დროს, ჩვენ უნდა ვსთქვათ: მენშევიკებმა შექმნეს ლეგენდა, თითქოს თებერვლის რევოლიუცია მათი საქმე იყოს ოქტომბრის რევოლიუციიდან განსხვავებით, რომელიც ბოლშევიკების საქმეა. ეს არ არის მართალი. რამდენათაც თებერვლის რევოლიუცია გამოწვეული იყო ამბების არა სტიქიური მსვლელობით, არამედ პარტიის მუშაობით, ის მოამზადეს მხოლოთ ბოლშევიკებმა. მენშევიკები კი ომის მთელი დროის განმავლობაში ყოვლის მხრივ ხელს უშლიდენ პროლეტარიატის მასიურ მოძრაობის განვითარებას, ყოვლის მხრივ აქრობდენ მის რევოლიუციონურ სულს, ქვეყანაში ნგრევისა და „ანარქიის“ გადიდების შიშით.

მენშევიკებისა და ბოლშევიკების ტაქტიკა თებერვლის რევოლიუციის დროს ლოღიკური გაგრძელება იყო ომის წინა წლების მათი ტაქტიკისა.

მენშევიკების კაპიტულიაცია ბურჟუაზიის წინაშე.

მენშევიკებს ეშინოდათ, რომ რუსეთი მოკავშირე სახელმწიფოებისაგან ჩამოშორების შემდეგ გერმანიის მიერ იქნებოდა აოხრებული. მათ ეშინოდათ, რომ ბურჟუაზიის „ეკონომიურათ-პროგრესიულ“ ნაწილების დაუხმარებლათ ის საბოლოოთ დაიშლებოდა და ანარქიის მსხვერპლი გახდებოდა; ამიტომ ისინი ეპოტინებოდენ ბურჟუაზიასთან კოალიციას და ეშინოდათ ომიდან გამოსვლა ანტანტის ნება დაურთველათ. ისინი კარგათ ხედავდენ, რომ ბურჟუაზია ყოველის მხრივ ხელს უშლის რევოლიუციის საქმეს, რომ რევოლიუცია ამის გამო ერთი ნაბიჯითაც არ მიდის წინ; მიუხედავათ ამისა ისინი ვერ ბედავენ მასთან კავშირის გაწყვეტას და რევოლიუციის საქმის საკუთარ ხელში აღებას. მათ კარგათ იცოდენ, რომ ბურჟუაზია პოლიტიკურათ გატეხილია რუსეთში, რომ მას არავითარი დასაყრდნობი არა აქვს არც ჯარში, არც ხალხის მასებში. მაგრამ საკმარისი იყო კადეტებს განეცხადებიათ, რომ ისინი გამოდიან მთავრობიდან და ქვეყნის აშენებას სოციალისტებს უთმობენ, რომ მენშევიკებში და ესერებში გზადაბნეულობა გამეფებულიყო და მათ სურვილი გამოეთქვათ ყოველგვარ დათმობაზე წასულიყვენ ბურჟუაზიასთან. ყველა ამის შედეგი, მენშევიკების საკუთარი განცხადებით, ისეთი მემარჯვენისაც კი, როგორიც არის დალინი, იყო ის, რომ რევოლიუცია მენშევიკებისა და ესერების ბატონობის დროს ერთი ნაბიჯითაც არ მიდიოდა წინ. მათი საკუთარი აღიარებით ბურჟუაზიული რევოლიუცია მოახდინეს მათ კი არა, არამედ ბოლშევიკებმა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

ბოლშევიკების ტაქტიკა თებერვლის რევოლიუციის დროს.

ბოლშევიკები თებერვლის რევოლიუციის დროს საწინააღმდეგო ტაქტიკას ადგნენ. ისინი იმის მაგივრათ, რომ შეეკოწიწებიათ და გაეერთიანებიათ ეგრედ წოდებული „ერის ცოცხალი ძალები“ და წონასწორობა დაემყარებიათ მოწინააღმდეგე კლასებს შორის, სცდილობდენ გაეღრმავებიათ რევოლიუცია და ყურადღებას არ აქცევდენ იმას, რომ ამას შეეძლო დროებით გაეძლიერებია ნგრევა ქვეყანაში; ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ რევოლიუციის ეკონომიური და სხვაგვარი მსხვერპლი ბოლოს ას ჯერ იქნებოდა გამოყიდული მშრომელთა კლასების მიერ. მე მოვიყვან ორიოდე მაგალითს ბოლშევიკების მოქმედებიდან, რომელიც განსაკუთრებულ მითქმა-მოთქმას იწვევდა მენშევიკებისა და ესერების მხრივ.

ძველი არმიის დაშლა,

ბოლშევიკები შლიდენ არმიას. მე მახსოვს შემთხვევა, როდესაც მე თვით მომიხდა გამოსვლა ჯარისკაცების მიტინგზე ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჯარისკაცებმა შემოიღეს მთელ საკომანდო შემადგენლობის არჩევნების სისტემა და ანგარიშს არ უწევდენ ასარჩევ უფროსების სამხედრო მომზადების ხარისხს. მე ვეუბნებოდი ჯარისკაცებს: „ორში ერთი; ან თქვენ გგონიათ, რომ ჯარი არ არის საჭირო, მაშინ დავშალოთ ის, თუ თქვენ ჰფიქრობთ, რომ ჩვენ გვჭირია ბრძოლისათვის მომზადებული ჯარი, მაშინ მის სათავეში უნდა იდგნენ არა საჭმლის მხარშველები, არამედ ისეთი პირები, რომელთაც სპეციალური სამხედრო მომზადება აქვთ. მე მეგონა, რომ ჩემი არგუმენტაცია დაურღვეველია, მაგრამ ჩემს წინააღმდეგ გაისმა აღშფოთებული ხმები და ბოლშევიკებმა მხარი დაუჭირეს იმათ, ვინც ჩემს წინააღმდეგ გამოვიდა. მე არ ვიცი შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ბოლშევიკები გამოდიოდენ მაშინ საკომანდო შემადგენლობის არჩევნების სისტემის დასაცავათ. მე არ ვიცი, ისინი გულწრფელათ ფიქრობდენ თუ არა, რომ ასეთი საშუალებით ისინი შესძლებდენ ჯარის დემოკრატიზაციას, ანდა ისინი ჯარის დემოკრატიზაციის დროშის ქვეშ სცდილობდენ მის დაშლას; მაგრამ რაც არ უნდა ეფიქრათ მათ, ჩემთვის ეხლა აშკარაა, რომ ისინი აკეთებდენ რევოლიუციისათვის ობიექტიურათ სასარგებლო საქმეს. ძველი ჯარის ძირიანათ დაშლა საჭირო იყო იმისათვის, რომ პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ შექმნილიყო წითელი არმია ახალ საფუძვლებზე. „ვინ აკეთებს რევოლიუციას სანახევროთ“ სამართლიანათ ამბობდა საფრანგეთის იაკობინელი სენ-ჟუსტი.

გერმანიის მაგალითი.

გადახედეთ ეხლა რა ხდება გერმანიაში. იქ რევოლიუციამ ხელშეუხებელი დასტოვა ძველი არმიის საკომანდო შემადგენლობა და აქედან რა გამომდინარეობს. გერმანიას ამ ჟამად ყოველ წუთში მოელის მონარქიის რესტავრაცია. თუ გერმანიის არმიამ ჯერ კიდევ არ მოახდინა კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალება, ეს იმიტომ მხოლოდ, რომ საფრანგეთმა ზომები მიიღო მისი მნიშვნელოვან ნაწილის განიარაღებისათვის.

აგრარული საკითხი.

მეორე მაგალითი—აგრარული საკითხი; ბოლშევიკები მოითხოვდენ, რომ გლეხები დაუყოვნებლივ შედგომოდენ მემამულეების მიწების ჩამორთმევას. მენშევიკები და ესერები, ჩერნოვის მეთაურობით, გაიძახოდენ, რომ ეს ანარქიამდი, ინვენტარის დატაცებამდი, სოფლის მეურნეობის დაცემამდი და სხვ. მიგვიყვანსო. აგრარული რეფორმა, ამბობდენ ისინი, მიზანშეწონილათ უნდა იქნეს გატარებული დამფუძნებელ კრების მიერ ადგილებზე მდგომარეობის სტატისტიკურათ გამორკვევის შემდეგ. ვინ იყო მართალი ამ კამათში, ბოლშევიკები თუ მენშევიკები ესერებით? ეჭვს გარეშეა, რომ მართალი იყვენ ბოლშევიკები. მე არც კი ვფიქრობ იმის უარყოფას, რომ აგრარულ რეფორმის გატარების ბოლშევიკური მეთოდი დაკავშირებული იყო ინვენტარის დატაცებასთან და ქვეყნის სოფლის მეურნეობის დონის დროებით დაცემასთან. მაგრამ ჩვენ რომ შეგვეჩერებია საგლეხო რეფორმის გატარება დამფუძნებელი კრების მოწვევამდი და იმ უზარმაზარ წინასწარ მუშაობის განხორციელებამდი, რომელზედაც ჩერნოვი და კომპანია ლაპარაკობდა, მაშინ გლეხები ვერასოდეს მიწას ვერ მიიღებდენ, რადგან რეფორმის განხორციელებამდი გლეხებს ყოველგვარი იმედი დაეკარგებოდათ რევოლიუციის და ძალა-უფლების, სათავეში ბატონი დენიკინები და კორნილოვები მოექცეოდენ. ბოლშევიკები სწორათ სჯიდენ, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა ხალხის რევოლიუციონური ენერგიისათვის გასავალის მიცემა. პირველ ყოვლისა საჭიროა, რომ მშრომელთა კლასებმა ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში. როდესაც ეს მიღწეული იქნება, მაშინ შეიძლება და უნდა მოხდეს კიდეც ხალხის ქონების ეკონომიურათ მოვლა. მენშევიკებისა და ესერების უძლურებამ განეხორციელებიათ რუსეთში თუ გინდ ბურჟუაზიული რევოლიუციაც კი, აუცილებლათ ნიადაგი მოამზადა ოქტომბრის გადატრიალებისათვის.

კომუნიზმის განხორციელების ცდა.

ოქტომბრის გადატრიალებამდი, თებერვლის რევოლიუციის დროს ბოლშევიკებმა თავის აპრილის ყრილობაზე გარკვევით განაცხადეს, რომ რუსეთში, რომელიც ევროპის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ პირველი ნაბიჯები სოციალიზმისაკენ. როდესაც მათ ძალა-უფლება დაიპყრეს, ისინი მთელის სიჩქარით გაექანენ კომუნიზმისაკენ. ამან მკაცრი კრიტიკა გამოიწვია მენშევიკების მხრივ, რომელნიც ბრალს სდებდენ ბოლშევიკებს იმაში, რომ მათ დაჰკარგეს ყველა თავისი მარქსისტული შეხედულებები, რომ მათ უტოპიური მიზანი დაისახეს ტერორის საშუალებით მოახვიონ ქვეყანას თავზე ცხოვრების ისეთი ეკონომიური წესწყობილება, რომელიც ეწინააღმდეგება მოსახლეობის დიდ უმრავლესობის სურვილებსა და ქვეყნის ეკონომიურ განვითარების დონეს. მართალია თუ არა ეს?

მდგომარეობა ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების დაპყრობის პირველ ხანებში.

როდესაც ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება, მათი მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო—ამ ძალა-უფლების შენარჩუნება როგორი ფასითაც არ უნდა ყოფილიყო. მე გეკითხებით თქვენ ამხანაგებო: როგორი იყო ბოლშევიკების მდგომარეობა მას შემდეგ, როდესაც მათ ძალა-უფლება დაიპყრეს. მთელმა ინტელიგენციამ მათ ბოიკოტი გამოუცხადა. საბჭოთა რუსეთს ყოველი კუთხიდან ცეცხლს უკიდებდენ კონტრ-რევოლიუციონერები. რევოლიუციის გადასარჩენათ პროლეტარიატს საშინელი ბრძოლა უნდა ეწარმოებია. ასი და ათასი პროლეტარები იღუპებოდენ მრავალრიცხოვან ფრონტებზე. წარმოსადგენი იყო, რომ მუშებს გაეღოთ ასეთი უამრავი მსხვერპლი და არ ეცადათ განეხორციელებიათ სოციალიზმი მთლიანი სახით. შემდეგ, იმისთვის, რომ პროლეტარიატი და წითელი არმია უზრუნველყოფილიყვენ სურსათით იმ პირობებში, როდესაც საბჭოთა რუსეთი მოწყვეტილი იყო პურის მოსავლიან ყველა რაიონებს, საჭირო იყო „კულაკებზე“ შეტევა, საჭირო იყო ყველაზე უფრო ადრე ფართლეულობის დიდი მარაგის ჩატანა სოფლათ. ეს იყო კიდეც გაკეთებული. ყველა საქონლები მაღაზიებში ჩამორთმეული იყო კონფისკაციის წესით: 60.000 ვაგონი საქონელი იყო გაგზავნილი სოფლათ და სამაგიეროთ 40 ათასი ვაგონი პურის შეგროვება გახდა მხოლოდ შესაძლებელი. ყველაფერი ეს, ამბობენ, უთავბოლოთ კეთდებოდაო. ბურჟუაზიისათვის ჩამორთმეული საქონლის სამი მეოთხედი დატაცებული იყო და მას სოფლამდი არ მიუღწევიაო. დეე ესე იყოს, მაგრამ სად უნდა მოენახა ბოლშევიკურ პარტიას იმ დროს პატიოსანი და უანგარო ადამიანები. ეგრედწოდებულმა „კეთილშობილმა და პატიოსანმა“ ინტელიგენციამ ხომ ზურგი შეაქცია რევოლიუციას. საბჭოთა ხელისუფლება სარგებლობდა იმ ადამიანის მასალით, რომელიც მის განკარგულებაში იყო. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკური ტერორის შესახებაც. ამბობენ, რომ ამ ტერორით მრავალი უდანაშაულო მსხვერპლი დაიღუპა; ამბობენ, რომ პოლიტიკური ტერორი ხშირათ ტარდებოდა იმ ხალხის საშუალებით, რომელნიც მიეკედლენ რევოლიუციას და ექსპლოატაციას უწევდენ მას თავის საკუთარ ანგარების მიზნებისათვის. ესეც შესაძლებელია. მაგრამ აქაც ეგრედწოდებული „პატიოსანი კეთილშობილი ინტელიგენცია“ არამც თუ მომხრე იყო დამდგარიყო რევოლიუციის დაცვაზე, არამედ ყოველის მხრივ ხელს უშლიდა მის მსვლელობას. აუცილებელი ხდებოდა იმ ხალხით სარგებლობა, რომელნიც ამა თუ იმ მოსაზრებებით თანახმა იყვენ ებრძოლათ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან. აუცილებელი ხდებოდა ისეთი ხალხით სარგებლობა, რომელთაც შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება თვითონვე ხვრეტდა. ესევე ითქმის იმ საყვედურების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რომ მან გააუქმა ყოველგვარი თავისუფლება. რევოლიუციის ბედი დამოკიდებული იყო არა მარტო პროლეტარიატისაგან, არამედ გლეხებისაგანაც, გლეხობისათვის კი დიდი დრო არის საჭირო იმისათვის, რომ ის დარწმუნდეს, რომ საბჭოთა ხელის-უფლება უფრო ხელსაყრელია მისთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ხელისუფლება. ბუნებრივია, რომ გლეხობა მუდამ ირყეოდა თავის განწყობილებაში. შეიძლება ასეთ პირობებში ბურჟუაზიულ ინტელიგენციისათვის საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკის თავისუფლების მინიჭება, როდესაც ამ ხელისუფლებას არ ჰქონდა არც დრო და არც შესაძლებლობა პოლემიკა გაეწია თავის უამრავ კრიტიკოსებთან. ოქტომბრის რევოლიუციის პირველ წლებში საჭირო იყო პირველყოვლისა რევოლიუციის დაცვა, ხელისუფლების დაცვა. საჭირო იყო რკინის გამოჭედვა, სანამ ის ცხელი იყო.

სამხედრო კომუნიზმის ხანის შესახებ.

როდესაც მე ვფიქრობდი, როგორ მდგომარეობაში იყო საბჭოთა ხელის-უფლება ოქტომბრის რევოლიუციის პირველ წლებში, ეგრედწოდებული „სამხედრო კომუნიზმის“ დროს, მე გამახსენდა ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან. მე გადასახლებული ვიყავი მაშინ კოლიმსკში. ზაფხულში მე თევზს ვიჭერდი კოლიმის ნაპირზე. როდესაც თევზი არ აღმოჩნდა ჩვენს ნაპირზე, მე გადავწყვიტე მეორე ნაპირზე, გადასვლა, სადაც თევზს ჩემი მეგობრები იაკუტები იჭერდენ. მე გავემგზავრე პატარა ნავზე, ეგრეთ წოდებულ „ვეტკა“-ზე, წყნარ ამინდში. მგზავრობა მეტათ კარგი იყო, სანამ მე ერთ საშიშ ადგილს არ დაუახლოვდი. როდესაც მე რაღაც 50 საჟენით ვიყავი დაცილებული ჩემი ამხანაგებისაგან, მე გზა გადამიღობა წყლის მჩქეფარე ტალღამ, რომელიც მაღალ კლდიდან, ეგრე" წოდებულ „წითელ ქვიდან“ ეხეთქებოდა; წყლის ეს ვიწრო წრე სამი ნაწილისაგან შესდგებოდა. ჯერ უნდა გამევლო ორი საჟენი ამდგარ ტალღებში, ეგრეთ წოდებულ „ტოლკუნცებში“, შემდეგ მორევებში და შემდეგ იყო საწინააღმდეგო მსვლელობა, როდესაც ხეები მოხვდებოდენ ხოლმე ამ ადგილას, ისინი გადაბრუნდებოდენ და ამდგარი ცურავდენ. მე ვიცოდი, რომ დიდი უსიამოვნება მელოდა, მაგრამ მიზანი ახლოს იყო, იაკუტი მეორე ნაპირიდან მეძახოდა მე: „კიტატ, დაგორ“ (გამაგრდი ამხანაგო). მე საბოლოო მიზანზე ვფიქრობდი და შევიჭერი ნავის ცხვირით „ტოლკუნცებში“ დარწმუნებული იმაში, რომ გამოცდა დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. იმ წამსვე მე სტიქიის ძალაში მოვექეცი ჯერ ნავი რამოდენიმეჯერ ზეასროლა, შემდეგ მე დამაბრუნა მორევში და სწრაფით წამიღო ქვევით ერთ ვერსზე; შემდეგ მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებამ ისევე საჩქა როთ უკან წამომიღო და 10 წუთ შემდეგ მე ნაპირზე ვიყავი. იყო მო მენტი, როდესაც მე ყოველგვარ წარმოდგენა დავკარგე იმაზე, სად იყო ცა, სად წყალი, სად ნაპირი ყველაფერი აირია ჩემს გონებაში ერთად ერთი, რაც მანუგეშებდა მ ამ საშიშ წუთებში,—ეს იყო შეგნე ბა, რომ მიზანი ახლოა. იმას გრძნობდა, ჩემის აზრით, საბჭოთა ხელისუფლება ოქტომბრის რევო ლიუციის პირველ წლებში. მოექც რა სტიქიის ძალაში, ბოლშევიკურმა პარტიამ ერთი მომენტით დაკარგ ყველა თავისი წარმოდგენები იმაზე რა არის შესაძლებელი და რის მიღწევა შეუძლებელია რუსეთის ეკ ნომიურ პირობებში. მას მხოლო ერთი ახსოვდა, რომ საჭიროა ძალ უფლების შენარჩუნება, როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველა მის გა კარგულებაში მყოფ საშუალებით და ამ ხელმძღვანელმა იდეამ იხს რევოლიუცია და შეძლება მის ბოლშევიკურ პარტიას სამი წლ მჩქეფარე პერიოდის შემდეგ ახა ეკონომიურ პოლიტიკის წყნარ წყლ ში გასულიყო.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ა ყოფილა უკან დახევა სოციალი დან, პირიქით მისი გამო ხალ შემდეგ დაიწყო მხოლოდ კომუნ ტური პარტიის სოციალიზმისაკ წინ წაწევა იმ პერსპექტივების თ ნახმად, რომელიც მას ოქტომბრ რევოლიუციის წინ ჰქონდა წარმ გენილი.

არის თუ არა ახალი ეკონომიუ პოლიტიკა ნამდვილათ გზა სოც ლიზმისაკენ? მენშევიკები ამას უ ყოფენ. ისინი ამბობენ, რომ ეს ა გზა უკან, კაპიტალიზმისაკენ, ოქტომბრის რევოლიუცია რა ლური ბურჟუაზიული რევოლ აღმოჩნდა მხოლოდ. ამის დას ცებლათ მენშევიკებს, სხვათა შორ მოჰყავთ აგრარული რეფორმა, მელიც ბოლშევიკებმა გაატარეს. აგრარული რეფორმა ხომ, ამბ ისინი, ესერების მიწის სოციალი ციაა; მიწის სოციალიზაცია კი, ლა მარქსისტების წინანდელი შე დულებით, მათ რიცხვში ლენინის ითვლებოდა გზათ სოციალიზმის

მეორე ინტერნაციონალი დაშლილი—ისევ შეკოწიწდა და აღსდგა ძველი ლოზუნგით, რითაც საერთაშორისო მენშევიზმი დაუპირდაპირდა ოქტომბრის რევოლიუციას. რუსეთის მენშევიზმი აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა პროლეტარიატის გამარჯვებას რუსეთში. საქართველოში კი 26 მაისი აშკარა მაჩვენებელი იყო იმის, რომ საქართველოს მენშევიკებმა ზურგი შეაქციეს ოქტომბრის რევოლიუციას და მუშათა კლასის ბედი ევროპის ბურჟუაზიას გადასცეს. საქართველოს სოც. დემოკრატიას შესაძლებლად მიაჩნდა „ერთობა" „დემოკრატიულ" რუსეთთან მილიუკოვ გუჩკოვების მთავრობის სახით, რომლის აღდგენას დენიკინ-კოლჩაკიდან ელოდა. ასეთი იყო საბედისწერო მომენტი მისი მოქმედების. დღეს გამორკვეულ და რევოლიუციის გზაზე შემდგარ მენშევიკებს მოღალატეებს უწოდებს ის ცეკა, რომლის საზრუნავ საგანს მხოლოდ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენს. მაგრამ ვიკითხოთ, ვინ არის მოღალატე—ის ჩხეიძე, რომელიც დაძრწის პოლონეთსა და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ამხედრებს მათ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, თუ ის მენშევიკი, რომელიც აშკარათ ხედავს ჩხეიძეების მზგავს ლიდერების გამცემლობას და მოღალატეობას მუშათა კლასისა და რევოლიუციისა და მხარში უდგება კომუნისტურ პარტიას, სოციალისტურ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად?

ჩვენი პარტიის საუკეთესო, უაქტივეს წევრებმა, რომლებითაც ვამაყობდით ჩვენ ძველად—მომუშავე გლეხებმა—ასობით და ათასობით -უკვე გასცეს ამას პასუხი. ვისაც არ სჯეროდა ეს ამდენხანს, დღეს ის მოვიდეს აქ და ნახოს ის, რაც აქ ხდება. ისტორია კი—ის ისტორია, რომელიც დაიწერება არა მათი — ჩხეიძე-რამიშვილების ბინძური ხელებით, არამედ გამარჯვებულ მუშათა კლასის მეგობრების მიერ—ეს ისტორია იტყვის ჩვენზე—აქ შეკრებილთა შესახებ: ესენი ცდებოდენ წარსულში, მაგრამ მათ, როგორც კი შეიგნეს ეს შეცდომა, უყოყმანოთ მიატოვეს ძველი შემცდარი გზა და გაბედულათ დაადგენ ახალ გზას—რევოლიუციის გამარჯვებისა; მათ შესახებ კი, რომლებიც დღეს ემიგრაციაში პარიზის დ ბერლინის კაფეებში ანადგურებენ საქართველოდან გატაცებულ ქონებას, რომელთა აგენტები აქ საქართველოში—ასეთი შიშის და გულის არევით შეცქერიან დღევანდელ ჩვენ კონფერენციას,—მათ შესახებ ისტორია იტყვის, ესენი იყვნენ, მატყუარანი წარსულში, მოღალატენი დღეს და ასეთებათ დარჩენ მანამ, სანამ მათი არსებობა არ მოისპო საბოლოოდ. ამას იტყვის ისტორია გამარჯვებულ მუშათა კლასისა. და, ამიტომაც, ჩვენ—გაბედულად, რევოლიუციონურად ვიცილებთ წარსულის ჯაჭვებს და თავმაღლა აწეულნი, ამაყათ მივდივართ ჩვენს ამხანაგებთან—კომუნისტებთან; ჩვენ არ დავემზგავსებით არც იმათ,—რომლებიც ტოვებენ ძველ გზას და ახალს არ ნახულობენ; განზე დგებიან; მენშევიზმთან ერთად თავის თავსაც კლავენ. არა. ეს არ არის ჩვენი გზა: მენშევიზმი მოკვდა—ჩვენ კი მისი ყოფილი წევრები, ვდგებით რევოლიუციის დროშის ქვეშ და, თუმცა ვიცით, რომ ჩვენ უფრო მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე სხვებს,—გაბედულად ვკიდებთ ამ საქმეს ხელს. სიმართლე ჩვენსკენ არის და მომავალი.

კომუნისტურ პარტიასთან ერთად კომუნიზმისაკენ.

შემდეგ სიტყვა ეძლევა რკინისგზელ მოხუც მუშას **ილია ნიკურაძეს**.

„მე—ამბობს ის—დღევანდელ ფაქტით თავს ვგრძნობ ისევ ახალგაზრდათ დ იმედს გამოვსთქვამ, განახლებულ რევოლიუციონურ ენერგიით ვითანამშრომლო სოციალისტურ რევოლიუციის ხელმძღვანელ—კომ. პარტიასთან. ჩვენ, მუშები ოქტომბრის რევოლიუციის დროს მოვითხოვდით პარტიის ბელადებისაგან აეხსნათ ჩვენთვის მოქმედების გზი, მაგრამ ვერ მივიღეთ მათგან დამაკმაყოფილებელი პასუხი, ისინი გაიყინენ ერთ წერტილზე. დღეს ჩვენ, ამდენხანს ბურუსში მყოფნი გამოვფხიზლდით და სინამდვილის აწონ-დაწონით, მისი სრული შეგნებით, ვდგებით მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. მე, მიუხედავათ ჩემი მოხუცებულებისა, მზათა ვარ მომავალშიც ძველებურათ ვიბრძოლო პროლეტარიატის გამარჯვებისათვის".

ამხ. ჯანელიძე აღნიშნავს, რომ შეიგნეს რა მუშებმა მეორე ინტერნაციონალის მოღალატეობა, რომლის მოქმედება პროლეტარიატის წინააღმდეგაა მიმართული, გობენ მასში შემავალ მენშევიკურ პარტიას და უერთდებიან მესამე კომინტერნს. „ეს გაერთიანება—ამბობს ის—უნდა იყოს ბუნებრივი; ჩვენ არ გვინდა ისინი, რომელთაც ნამდვილად და გულით არ უნდათ ეს საქმე; ისინი მხოლოდ შეგვიშლიან ჩვენ ხელს ამ დიად საქმეში".

ამხ. მიტროფანე ნუცუბიძე მხურვალე სიტყვით მიმართავს კონფერენციას: „მენშევიკების არალეგალური ცეკა გვიწოდებს ჩვენ მოღალატეებს და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ არ ვიცით ვისი სახელით ლაპარაკობს, ან ვინ შედის ამ ცეკაში. ის არ აგვირჩევია ჩვენ მუშებს, არც გვსურს ავირჩიოთ. როდესაც მე რევოლვერით დ ყუმბარით ვიბრძოდი ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს მენშევიკების ცეკას დავალებით. მაშინ არ ვიყავი მოღალატე, მაშინ მე შემეძლო მცოდნებოდა ის, რაც არ იცოდა 99 პრ. პარტიის სხვა წევრებისა. როდესაც მე ჩემი საუკეთესო წლები ახალგაზრდობისა ციმბირში და საკატორღო ციხეებში დავლიე, მაშინ არ ვიყავი მოღალატე და ეხლა ვარ,—როდესაც დღეს ჩაქუჩი და თუ საჭირო იქნა ხვალ რევოლვერი და ყუმბარა მუშების საქმეს უნდა მოვახმარო? არა, მე ვღალატობ ბურჟუაზიას და უბრუნდები მუშათა კლასს—რევოლიუციას. თუ ცეკა ჩვენი ყოფილი პარტიისა ბურჟუაზიის ცეკაა,—მაშინ დიაღ, მე მოღალატე ვარ მისი და ვდარდობ იმას, რომ მხოლოდ დღეს ვხდები ასეთად. ორი ერთ დარგში მომუშავე მუშა—ბოლშევიკი და მენშევიკი ხვდება ერთმანეთს, ურთიერთის გამოკითხვით ირკვევა, რომ მათ ორთავეს სოციალიზმი უნდათ, რომლის მიღწევას სხვა და სხვა გზით ცდილობენ, რაც მათ სხვა და სხვა ბანაკში აგდებთ. სინამდვილემ აშკარათ დაგვანახა, რომ ამ ორ მუშათაგან სოციალიზმს უფრო ადვილად აღწევს ბოლშევიკი, რომელსაც კარგათ შეუგნია რევოლიუციონური ბრძოლის გზა, მენშევიკი მუშა კი ჩამორჩა მას, გაიყინა ერთ წერტილზე. დღეს ეს ჩამორჩენილი მუშა გამოირკვა და უბრუნდება სოციალიზმის მისაღწევათ სწორ გზას, ეს მუშა—რომ რეგრესისაკენ წასულიყო, მაშინ შეიძლებოდა მისი მოღალატეთ ჩათვლა, მაგრამ როდესაც დღეს კომ. პარტია მსოფლიო რევოლიუციის ალშია გახვეული, მაშინ ძველ რევოლიუციონერს გაჩერება—განზე გადგომა არ ეპატიება; მას თუ უნდა გამარჯვება, უნდა იბრძოლოს დღეს მებრძოლებთან ერთად. საქართველოში მენშევიზმის არსებობამ მშრომელი ხალხი გახვია მუდმივ ნაციონალურ ომებში, მაშინ, როდესაც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ სრული სიმშვიდე მიანიჭა მას. ვხედავთ რა ყოველივე ამას მუშები, ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში გაუწიოთ მენშევიკების ცეკას მოწოდებას. ჩვენ ვხედავთ მენშევიზმის საბოლოო გახრწნას, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს მენშევიკ-რევოლიუციონერის დაღუპვას; მან უნდა გამონახოს ახალი გზა. ეს გზა არის მესამე კომინტერნის დროშის ქვეშ შეგნებულად დადგომა. თუ ვინმე არის დღეს აქ, კონფერენციაზე ისეთი, რომელსაც ეს ნაბიჯი ჭეშმარიტი რევოლიუციონერისა არ მოსწონს, უმჯობესია დასტოვოს კონფერენცია და წავიდეს ჩვენ მტრებთან.

ამხ. ჭანჭალეიშვილს ბუნებრივათ მიაჩნია შეკავშირება კომ. პარტიასთან, რომლის წევრებთანაც იბრძოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. „დღეს მე გილოცავთ, ამხანაგებო, სწორ გზაზე დადგომას იმ ამხანაგებთან, რომლებთან განგვიცდია ციმბირი, კატორღა და ათასგვარი გაჭირვება".

კონფერენციის მოთხოვნილებისამებრ წაკითხულ იქნა მენშევიკების არალეგალურ ცეკას პროკლამაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ცეკა არ იცნობს კონფერენციის მომწვევ საინიციატივო ბიუროს წევრებს, რომ კონფერენციის წევრები ქართული ხალხის მოღალატეები არიან და სხვა.

პროკლამაციამ დიდი აღელვება და აღშფოთება გამოიწვია დელეგატებში. (ისმის „ზიზღი მათ" გამყიდველები" და სხვა).

ამხ. ჭუმბურიძე პროკლამაციის შესახებ ამბობს, რომ ეს პროკლამაცია დაწერილია ისტორიის მიერ განწირულ ხალხისაგან, ეს ის პირებია, რომლებიც საზღვარ-გარეთ გაზიდულ, ქართველი ხალხის ოქროებით ნაყიდ ლირებს იღებენ. სასაცილოა მათი მდგომარეობა; ისინი თითქოს არ იცნობენ კონფერენციის მომწვევ ბიუროს წევრებს, ნუ თუ რევოლიუციონურ საქმიანობასა და პარტიის სტაჟის გასადიდებლად საჭიროა კოოპერატივებში ჯდომა და ქურდობა და სასურსათო კომისარიატის ძარცვა-განადგურება. ნუ თუ სახელის მოსახვეჭათ საჭიროა ხალხის სიმდიდრის საზღვარ-გარეთ გაზიდვა და ბურჟუაზიის აგენტობა. მოღალატენი ისინი არიან და არა ჩვენ, რომლებმაც შევიგნეთ მენშევიკურ პარტიის ავანტიურისტული პოლიტიკა ბურჟუაზიის აგენტობა, რომლებიც ჩამოვშორდით მას და შეგნებულად დავდექით სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის მებრძოლ პარტიასთან.

ამხ. კიმოთე შენგელია: „როდესაც ჩვენ მენშევიზმის რიგებში ვიყავით—მაშინ ხომ გვიცნობდა ცეკა და ძალიან კარგათაც, შესაძლოა ახლა მართლაც ვერ გვიცნობდეს ეს ცეკა,—რადგან ის, ვინც ჩვენ ძველ მუშებს გვიცნობდენ ან ჩვენთან არიან დღეს, ან და გაქცეული საზღვარგარეთ. ცეკას კი ალბად დღეს ისეთი ბიჭ-ბუჭები ხელმძღვანელობენ, რომ მათი ცოდნა ჩვენი—ჩვენთვის მართლაც სამარცხვინო იქნებოდა. თუ ვინ ვიყავით ჩვენ, ეს კარგათ იციან მათ,—ვინაც ჩვენ მათი გაჭირვების დროს სამტრედიის რაიონის თავდაცვის კომიტეტს გვაბარებდა, რომლის თავმჯდომარეთ თვითონ მე ვიყავი. ვთქვათ, რომ ჩვენ მართლაც არ გვიცნობდენ, მაგრამ რას იტყვიან ისინი დამფუძნებელ კრების და ცეკას მუდმივ წევრის ფარნიევის და სხვათა შესახებ, რომლებიც მოხსენებებს აკეთებენ თბილისში და კონფერენციას იწვევენ: ზიზღი მათ—ავანტიურისტებს და ცილის მწამებელთ".

ბოლოს სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ამხ. ვ. ჯიბლაძემ, მ. გალუავაძემ, სულაბერიძემ, ტოლონჯაძემ, ხანთაძემ, შენგელია მიხამ და სხვებმა, რომლებმაც გაატარეს ის აზრი, რომ მათი ყოფილი ლიდერები, დღეს მათგან გაქცეულნი, თავშეფარებული არიან ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, რომელთა დახმარებით ლამობენ საბჭოთა რესპუბლიკების დამარცხებას. მათ სთქვეს, რომ საკმაოთ დარწმუნდნენ მენშევიკების მუშაობის დამღუპველობაში მშრომელებისათვის და საბოლოოდ შორდებიან მათ მსოფლიო მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის საბრძოლველად.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისიის წევრი ამხ. თოდუა. მოხსენებიდან ირკვევა, რომ საამომრჩევლო პუნქტი იყო 49, ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1635, არჩეული იყო დელეგატი 327, დაესწრო 321, ამათგან მამაკაცი 318, ქალი 3, პარტიული სტაჟით 1905 წლამდი 145, 1905 წლიდან—1914 წლამდი 30, 1914 წ.—1917 წლამდე 101 და შემდეგ 45.

სოციალური მდგომარეობა: გლეხი, მიწის მუშა 117, წარმოების მუშა 117, მოსამსახურე 70, ინტელიგენტი 8, სხვადასხვა 8.

ეროვნება: ქართველი 318, რუსი 2, მუსულმანი 1.

განათლება: უმაღლესი 3, საშუალო 32, დაბალი 135, შინაური 145, წ.-კითხვის უცოდინარი 6.

კონფერენციის მესამე სხდომა დაიხურა 2 ნახევ. საათზე.

(დასასრული იქნება)

ყოფილ მენშევიკების განცხადებანი

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ ამ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

მე ვიყავი მენშევიკურ პარტიაში 1905 წლიდან ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში და ამის შემდეგ მენშევიკებთან არავითარი დამოკიდებულება არ მქონებია. ჩემი შეხედულებით დავრწმუნდი საბჭოთა სისტემის აუცილებლობაში, რომელსაც შეუძლია რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცება და დაჩაგრულ ხალხთა დაცვა. და ამ ჩემს რწმენას და შეხედულებას იმ თავიდან დღემდე უზიარებდი ყველა ჩემს მახლობლებს და ძველ ამხანაგებს დ ვურჩევდი მათ საბჭოთა მთავრობისადმი ერთგულების გამოცხადებას. მართალია, კომუნისტური პარტია კარგი თვალით მიყურებს მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. მე მსურს უფრო ახლოს ვიდგე კომუნისტურ პარტიასთან და ჩემი გამოცდილება და შრომა მთელი ძალღონით მოვახმარო საბჭოთა აღმშენებლობას.

ირაკლი ივანეს ძე რამიშვილი.

—

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

1918 წლიდან 21 წლამდი, ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების დამყარებამდე მე ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე ხსენებულ პარტიასთან. ეხლა ოფიციალურად ვაცხადებ, რომ, ვინაიდან მე დავრწმუნდი მის მოღალატობაში მუშათა კლასის მიმართ, გამოვდივარ ამ პარტიიდან და მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობ. **პ. ბაბუნაშვილი.**

კი არა, არამედ კაპიტალიზმისაკენ. ბოლშევიკებმა რომ ესერების აგრარული პროგრამა გაატარეს, ეს მართალია, და ესერებიც მართალი არიან როდესაც ტირიან, რომ ბოლშევიკებმა „მოპარეს" მათ აგრარული პროგრამა. მართალია ისიც, რომ ყველა მარქსისტები ამტკიცებდენ, რომ მიწის სოციალიზაცია არავითარ სოციალიზმთან არ მიგვიყვანს. მაგრამ მენშევიკებს, რომელნიც ეხლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან, დაავიწყდათ ერთი წვრილმანი: როდესაც ჩვენ, მარქსისტები, ვაკრიტიკებდით ესერებს და ვამტკიცებდით, რომ შეუძლებელია სოციალიზმის დამყარება ნაწილ-ნაწილ, ჩვენ მხედველობაში გვქონდა, რომ ესერების მიწის სოციალიზაციასთან ერთად სოფელში დარჩებოდა ქალაქში კაპიტალისტური მეურნეობა. ასეთ პირობებში ესერების პროგრამის ჩვენი კრიტიკა სრულებით საფუძვლიანი იყო და ბოლშევიკები ეხლა მზათ არიან ის დაამტკიცონ. ჩვენ რომ ეხლა ბურჟუაზიული რესპუბლიკა და ბურჟუაზიული დამფუძნებელი კრება გვქონდეს ვიქტორ ჩერნოვის მეთაურობით, მაშინ უეჭველია, რომ მიწის სოციალიზაცია მხოლოდ გზას გაუხსნიდა კაპიტალიზმს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩვენში ეხლა სხვანაირი მდგომარეობაა. როგორც იცით რუსეთში ეხლა ბატონობს პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის მეთაურობით და რუსეთის მთელი მსხვილი მრეწველობა ეხლა საბჭოთა ხელისუფლების ხელში იმყოფება. ასეთ პირობებში სურათი სრულებით იცვლება. ასეთ პირობებში მიწის სოციალიზაცია, რომელიც უშუალოთ აუმჯობესებს საშუალო გლეხის მეურნეობას, ქმნის მასაზრდოებელ სარჩოს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის განვითარებისათვის და, პირიქით, ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის განვითარება თანდათან უფრო დაუმორჩილებს წვრილ გლეხობას სოციალისტური მეურნეობის გავლენას. ის, რაც მე ვთქვი მიწის სოციალიზაციის შესახებ, შეიძლება ავრეთვე გამოყენებული იქნეს კოოპერაციის შესახებაც. ჩვენ, მარქსისტები, სრულებით მართალი ვიყავით, როდესაც დავცინოდით იმ ოპორტიუნისტებს, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ სოციალიზმი შეიძლება დამყარებული იქნეს კოოპერაციის საშუალებით. იმ პირობებში, როდესაც ძალა-უფლება ქალაქში ბურჟუაზიასა და მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობას რჩება ხელში,—ეს მეშჩანური წვრილ-ბურჟუაზიული უტოპიაა. მაგრამ საქმე სრულებით იცვლება იმ პირობებში, როდესაც ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია და როდესაც მთელი მსხვილი მრეწველობა ჩამორთმეულია. ამ პირობებში კოოპერაციასაც კი, როგორც სწორათ აღნიშნავდა ამას წინათ ლენინი,—შეუძლია ჩაითრიოს გლეხობა სოციალისტურ მეურნეობის სფეროში.

რევოლიუცია დასავლეთში აუცილებელია.

ყველაფერი ეს ძალიან კარგია, გვეუბნებიან ჩვენ: მაგრამ რამდენი ათეული წელი იქნება საჭირო, სანამ ჩვენ შევძლებთ აღვადგინოთ და გავაფართოოდ ჩვენი ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეული მრეწველობა ისეთ საზღვრებამდე, რომ შესაძლებელი გახდეს მთელ ქვეყანაში ფულის საქონლის მეურნეობის მიზანშეწონილი სოციალისტური მეურნეობით შეცვლა? ჩვენ დანგრეულ ქვეყანაში ხომ, გვეუბნებიან ჩვენ, ჩვენ ჯერ კიდევ გვიხდება გავიაროთ კაპიტალის პირველყოფილი დაგროვების მთელი ეპოქა, და ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ამ დაგროვების დასაჩქარებლათ გავძარცვოთ გლეხი დ დავიპყროთ კოლონიები, როგორც ამას ბურჟუაზია ჩადიოდა. ეს ყველაფერი სრულებით სამართლიანია. საბჭოთა რუსეთი რომ მარტო თავის თავზე იყოს მინდობილი, მას ძალიან დიდხანს მოუხდებოდა ცდა იმ ბედნიერ დროისათვის, როდესაც შესაძლებელი იქნება ჩვენში სოციალიზმის სრულად განხორციელება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სანამ ჩვენ მივალთ მრეწველობის ასეთ გაფურჩქვნამდი, აუცილებლათ იფეთქებს სოციალისტური რევოლიუცია დასავლეთ ევროპის ერთ თუ რამოდენიმე სამრეწველო ქვეყნებში და მაშინ ბუნებრივი კავშირი დამყარდება გლეხურ რუსეთსა და დასავლეთ-ევროპის სამრეწველო სოციალისტურ ქვეყნის შორის. მაშინ დამყარდება ძმური კავშირი ამ ორი ქვეყნის ერთმანეთის შემავსებელ მეურნეობებს შორის. მაგრამ გვაქვს ჩვენ საფუძველი ვიფიქროთ, რომ ცოტათ თუ ბევრათ უახლოეს დროში იფეთქებს სოციალისტური რევოლიუცია დასავლეთში. იქ ეხლა ხომ შემჩნეულია, რომ კაპიტალი უკან კი არ იხევს, არამედ უტევს პროლეტარიატს. იქ ეხლა ხომ პროლეტარიატის დიდი ნაწილი II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფება. ამხანაგებო, ჩვენ არ უნდა ვიმსჯელოთ დასავლეთ ევროპაზე იმის მიხედვით, თუ რა ხდება მისი ცხოვრების ზედა პირზე.

ბურჟუაზიულ მსოფლიოს კრიზისი და უძლურება.

აი უკვე ხუთი წელია, რაც შესწყდა საერთაშორისო ომი; ევროპის ბურჟუაზიას კი, მიუხედავათ ყველა თავის ღონის ძიებებისა, არ შეუძლია ეკონომიური და პოლიტიკური წონასწორობის დამყარება ევროპაში იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ნელ ნელა, მაგრამ ნამდვილათ სულ მტკიცდება, დასავლეთ ევროპის ძლიერი სახელმწიფოების მთავრობები მარცხდებიან თავის გეგმებში და ხშირათ სამინისტროების კრიზისს განიცდიან. მთელი ევროპა თითქოს ცეცხლის მფრქვევ მთაზე ცხოვრობდეს. გაიხსენეთ მხოლოდ ლლოიდ-ჯორჯის კარიერა. ის პირველათ პუანკარეტთან ერთად ფიქრობდა ინტერვენციის საშუალებით ძალით ჩამოეგდო საბჭოთა ხელის-უფლება, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისი და საფრანგეთი შეიარაღებული არიან თავიდან ფეხებამდე ევროპიული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, საბჭოთა რუსეთი კი ღატაკი ქვეყანაა, ამ საომარმა გეგმებმა მარცხი განიცადეს. საბჭოთა რუსეთი თითქოს მოჯადოებული ქვეყანა აღმოჩნდა. როგორც კი საფრანგეთის და ინგლისის ჯარისკაცები და მატროსები გამოჩნდებოდენ ჩვენს ტერიტორიაზე, მათი თოფები უკვე აღარ ისროდენ. მწარე გამოცდილებით ნასწავლმა ლლოიდ-ჯორჯმა ააშენა ახალი გეგმა—დაეხრჩო საბჭოთა რუსეთი ეკონომიური საშუალებით. ის ფიქრობდა, რომ გაჭირვება და სიმშილი აიძულებს საბჭოთა რუსეთს კაპიტულაციას ჰქნას ევროპის კაპიტალის წინაშე, აიძულებს მას დაუბრუნოს წარმოებები კაპიტალისტებს და ის შეუმჩნევლათ ევროპის კოლონიათ გადაიქცევა. როდესაც გამოირკვა, რომ ეს გეგმაც დაიშალა, რომ საბჭოთა რუსეთს აზრათაც არა აქვს ერთი ნაბიჯითაც კი არ დაიხიოს უკან იმ პოზიციებიდან, რომელიც მას 1921 წ. ეჭირა, ლლოიდ-ჯორჯი შესცვალა კერზონმა, რომელმაც სცადა ძველი მეთოდებისაკენ დაბრუნება და საბჭოთა რუსეთისათვის ყელში ხელის წაჭერა. როგორც თქვენ იცით ეს გეგმაც ჩაიფუშა. კერზონის წინააღმდეგ გაილაშქრა ინგლისის მუშათა პარტიამ. მართალია ინგლისის მუშათა პარტია ჯერ კიდევ შორსაა იმისაგან, რომ ბოლშევიკების მაგალითს მიბაძოს ინგლისში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მას არავითარი სურვილი არა აქვს მხარი დაუჭიროს ინტერვენციას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ის დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება რუსეთში ნიშანი იქნებოდა მუშათა ყველა ორგანიზაციების, თუ გინდ ყველაზე უფრო ზომიერებისაც კი, დასარბევათ მთელს ევროპაში. ამ რიგათ იმპერიალისტურ ინგლისის ყველა გეგმები, რომელნიც მიმართული იყვენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ჩაიფუშენ. ასეთივე დამარცხება განიცადა საფრანგეთის აგრესიულმა გეგმებმა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და იმ დროს, როდესაც კერზონი მუშტით გვემუქრებოდა, პუანკარემ ამ დროს კბილების ღრჯენით ჩვენ „არშიყობა" დაგვიწყო. საერთაშორისო ბურჟუაზიას, მიუხედავათ მთელი მისი სიძულვილისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაინც არ შეუძლია გაერთიანებული გამოვიდეს ჩვენს წინააღმდეგ იმ შეურიგებელი შინაგან წინააღმდეგობათა და იმპერიალისტურ ნადავლის გაყოფის დროს ურთიერთ ბრძოლის გამო, რომელნიც ღრღნიან ბურჟუაზიულ ქვეყანას.

(დასასრული იქნება).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ჩერვონცებით გამოანგარიშება.

მოსკოვი. 15 ივლისი. საზღვარგარეთელ გაზეთების კორესპონდენტებთან საუბრის დროს, ამხ. სოკოლნიკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი გადადის ჩერვონცებით გამოანგარიშებაზე. მომავალ წელში მთელი ბიუჯეტი აშენებული იქნება ჩერვონცებზე, რომელიც ბაზა არის მთელი სამანეთო გამოანგარიშებისათვის. ჩერვონცებს გარდა, მომავალ წელში შესაძლებელია სპილენძის, ალთუმინისა და სხვ. ფულის გამოშვება.

ამხ. სოკოლნიკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთში ამ ჟამად ხმარებაშია ქაღალდის ფულება, ჩერვონცები და ოქროს მანეთების ობლიგაციები სულ 300 მილ. ოქროს მანეთისა, როდესაც ომამდის ხმარებაში იყო 2 ნახ. მილიარდი ოქროს მანეთი.

სასოფლო სამეურნეო გამოფენა.

მოსკოვი. 15 ივლისი. სრულიად რუსეთის გამოფენაზე არსდება ნატურალური ფონდი ექსპონატებისათვის პრემიების მისაცემათ; ფონდი არსდება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიერ. ფონდს უკვე აქვს წისქვილი, საოლქო აფთიაქი და მრავალი საქარხნო ნაწარმოებები.

29 ივლისს სრულიად რუსეთის გამოფენაზე მოვა ექსპონატების პირველი პარტია, რომელიც შორეულ აღმოსავლეთიდან მოდის 24 ვაგონში. ადგილობრივმა საგამომფენო კომიტეტმა უკვე 960 განცხადება შეიტანეს ვაგონებზე ექსპონატებისათვის.

გამოფენაზე ეწყობა წითელი არმიის საომარი ბანაკი, რომელიც ყოველის მხრივ გამოხატავს წითელი არმიის მუშაობასა და ყოფა ცხოვრებას.

სრულიად რუსეთის გამოფენის დროის განმავლობაში მოწვეული იქნება ყრილობები: მესაქონლეობის—27 აგვისტოს, საცდელი საქმის—1 ენკენისთვეს და ნიადაგ-მეცნიერების—10 ენკენისთვეს. უკანასკნელ ორ ყრილობაზე მოსალოდნელია დასავლეთისა და ამერიკის მეცნიერების ჩამოსვლა.

ამხ. იორდანსკის დანიშვნა.

მოსკოვი. 16 ივლისი. რუსეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად იტალიაში დაინიშნა „სოვრემენი მირ"-ის ნარედაქტორალი ამხ. იორდანსკი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

სასოფლო მეურნეობის გამოკვლევა

ბათომი. 15 ივლ. ახლო მომავალში აჭარის ცენტრალური სასტატისტიკო ბიურო შეუდგება აჭარის სასოფლო მეურნეობის გამოკვლევას.

სისხლის აღების ლიკვიდაცია

ბათომი. 15 ივლ. სისხლის აღების სალიკვიდაციო კომისია ივლისის 20-ე დაამთავრებს მუშაობას. ვინც შერიგებით არ გაათავებს საქმეს, სამართალში იქნება მიცემული. დანაშაულის ჩამდენი კი სისხლის აღების ნიადაგზე, მათი საქმის გარჩევის შემდეგ ჩაითვლებიან არსებული წესწყობილების მოწინააღმდეგეებათ და გადაეცემიან საგანგებო კომისიას.

ახალი საავადმყოფო

ბათომი. 15 ივლ. აჭარის ჯანმრთელობის კომისარიატს განზრახვა აქვს საავადმყოფო გახსნას აჭარის წყალზე.

მოძრავი კინო

ბათომი. 15 ივლ. აჭარის პოლიტ-განათლების მთავარი სამმართველო აწყობს მოძრავ კინოს მაზრებში. ამის გამო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობაა აღძრული, რათა კინოს დაეთმოს ერთი საბარგო ავტომობილი.

სრულიად რუსეთის გამოფენისათვის

ბათომი. 15 ივლ. აჭარის საგამომფენო კომიტეტმა უკვე დაასრულა მოსკოვის გამოფენაზე გასაგზავნი ნიმუშების დამზადება. 25 ივლისს დაიწყება მათი დატვირთვა ვაგონებში. 6 ვაგონში მოთავსებული იქნება მცენარეულობა, ორში—შინამრეწველობის ნაწარმოებნი, მოდელები და სხვა, ორში—წითელი მიწა გამოფენაზე ჩაის პლანტაციის მოსაწყობად. ვაგონები დაიტვირთება ბათომში, გოროდოკში და ჩაქვში.

აზერბეიჯანი

სტიპენდიები

ბაქო. 15 ივლ. აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს ყველა სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელთა თათბირს იმ სტუდენტების სტიპენდიების შესახებ მოსალაპარაკებლად, რომელნიც უნდა გაიგზავნონ რუსეთის ს. ს. ფ. რესპუბლიკაში. თათბირს დაესწრებიან წარმომადგენელნი საზღვაო, ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მთავარ სამმართველოსი, მუღანლოს მელიორაციის მომწყობი კომიტეტისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებისა.

მადლობა გმირებს

ბაქო. 15 ივლ. აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სამთომადნო მუშა-მოსამსახურეთა კავშირმა და აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მთავარსამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ვარონოვმა მოსკოვიდან მიიღეს დეპეშა ამხ. კალინინისა და სერებროვსკისა. დეპეშაში გამოთქმულია ულრმესი მადლობა სურახანისა და მთელი ბაქოს მუშებისადმი, რომელთაც თავგამოდებულის შრომით მოახერხეს სურახანის ხანძარის ჩაქრობა და იმედს გამოსთქვამენ, რომ ხანძარისაგან მიყენებული ზარალი ანაზღაურდება ახლომომავალში ნავთის ამოღების გაძლიერებით.

დახმარება სპარსეთის ვაჭრებს

ბაქო. 15 ივლ. ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე სპარსელ ვაჭრებისათვის დასახმარებლად არჩეულია კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ: ორდუბადსკი, ილიუშკინი და ჰაჯი ახუნდოვი. კომისიას თავმჯდომარეობს ამხ. ახუნდოვი. კომისიამ უკვე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა სპარსელი ვაჭრების საქონლის გადაგზავნისა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

სომხეთი

სასკოლო აღმშენებლობა

ეჩმიაძინი. 15 ივლ. ეჩმიაძინის მაზრაში შენდება 19 სასკოლო შენობა, რისთვისაც გადადებულია 30,361 მ. წლევანდელ სამოსწავლო წელიწადს სკოლათა რიცხვი ხსენებულ მაზრაში 21-თ გადიდდება. შეკვეთილია 3,000 პარტა, შეკეთებაშია სკოლის შენობები; მზადდება სკამები, ფეჩები და სხვ.

პარტიული ცხოვრება

მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირისათვის

სოფელი ოლგინსკოე

7 ივლისს 1923 წ. ლითონის განყოფილების კომ-უჯრედის და ამავე განყოფილების ახალგაზრდათა კომკავშირის წევრნი გაემგზავრნენ სოფელ „ოლგინსკოე"-ში, სადაც იმავე დღეს მოახდინეს გაფართოებული კრება მუშებისა და გლეხებისა.

თავმჯდომარეობდა ამხ. გარინი (ლითონის განყ. კოლეგიის წევრი) და მდივნობდა ამხ. ვედიორკო (მელითონეთა კავშირის კულტ. განყ. თავმჯდ.). ამხ. გარინმა ვრცელ და შინაარსიან სიტყვაში დაახასიათა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშურგლეხურ კავშირის განმტკიცებას საბჭოთა მთავრობის დროს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის წლებში ქალაქი ჩამოშორებული იყო სოფელს. ეხლა კი, როდესაც მეტ წილად აღდგენილია ქარხანა-სახელოსნოები, და გლეხები, აღჭურვილნი ნდობით საბჭოთა-ხელისუფლებისადმი, შეუდგნენ თავისუფალ შრომას, საკითხი მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების დიდ ყურადღებას იპყრობას.

ქალაქის მუშებმა საჭიროთ დაინახეს მჭიდრო კავშირის აღდგენა გლეხებთან, მათთვის ძმური ხელის გაწოდება, სასოფლო-მეურნეობის აღდგენის მიზნით. მუშა მიზნათ ისახავს სოფლის მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, გაზეთებით და ლიტერატურით, სკოლების, თეატრების და სამკითხველოების მოწყობას, კოლექტიური შრომის ორგანიზაციას, რათა სოფლის მეურნეობა აყვავდეს და გაუმჯობესდეს, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ამხ. სირაძემ აღნიშნა ის დიდი განსხვავება, გლეხებთან დამოკიდებულებაში მეფის და მენშევიკების დროს, და ეხლა, როდესაც საბჭოთა მთავრობა ყოველ მხრივ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის აყვავება-აღორძინებას და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამხ. ოშაყმაშვილმა გააცნო დამსწრეთ კავშირის საკითხის დაყენება მუშათა შორის. გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

დიდ ლილოში.

მეორე კრება დაინიშნა 8 ივლისს, სოფელ დიდ ლილოში, სადაც დაესწრო 160 კომლიდან 89 გლეხი, 8 პარტიული ამხანაგი და კომისიის წევრნი.

თავმჯდომარეობდა გლეხი ქელდიაშვილი, მდივნობდა მუშა—სირაძე.

დღიურ წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1) მუშურ-გლეხურ კავშირის მიზანი და ამოცანები.

2) გლეხთა წარმომადგენლების არჩევა.

გლეხმა ოშაყმაშვილმა ქართულ ენაზე ვრცლათ განმარტა მიზანი და ამოცანები მუშათა და გლეხთა შორის მჭიდრო კავშირისა როგორც კულტურულ, ისე მატერიალური მხრით.

ასეთ შეერთებაში არის ძალა გლეხურ-მუშურ მთავრობისა, ასეთი კავშირი ამაღლებს ქარხანა-სახელოსნოების წარმოებას, და სოფლის მეურნეობის განმტკიცებას. გლეხის მოხდენილმა სიტყვამ დიდი ენტუზიაზმი და თანაგრძნობა გამოიწვია დამსწრეთა შორის, ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ამხანაგებმაც, რის შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

ოშაყმაშვილი წინადადებას აძლევს კრებას, ქალაქში ლითონის განყოფილების ქარხანა-სახელოსნოების გასაცნობათ და დასათვალიერებლათ არჩეულ იქმნეს კომისია, რომელიც გამოარკვევს გლეხების საჭიროებას და სათანადო დახმარების მიცემას.

კომისიაში არჩეულ იქმნენ გლეხებისაგან: ცხოვრებაშვილი, გოგიშვილი და ტიგიშვილი და ახალგაზრდებიდან გაბარაშვილი. ამ კომისიას დაევალა ყოფნა შაბათს 14 ივლის ლითონის განყოფილებაში.

ვინაიდან სოფელ „დიდ-ლილო"-ში არ მოიპოვება სახელოსნო და გლეხის ავეჯეულობა თითქმის დამტვრეულ-დაზიანებულია, ამხ. [illegible] წინადადებას აძლევს, მოეწყოს სოფელში სამჭედლო-სახელოსნო, მიეცეს სათანადო რიცხვი მასალისა და იარაღისა.

დადგენილ იქმნა: ეთხოვოს ლითონის განყ. სახელოსნოს მოსაწყობათ „დიდ-ლილო"-ში მიეცეს მყოფი ძველი ავეჯეულობა, როგორც არის გრდემლი, ჩაქუჩები, საზეინკლო ნაწილები და სხვ. აგრეთვე 20 ფუთი რკინა—ძველი ნაჭრებიდან.

ეთხოვოს აგრეთვე მუშებს წაკითხული გაზეთების გადაგზავნა სოფლად.

ერთი სიტყვით ლითონის განყ. მუშებსა და გლეხებს შორის შეიქმნა მჭიდრო კავშირი.

უსურვებთ გამარჯვებას ასეთ მოკავშირეებს. **მელითონე.**

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(საუბარი ამხ. ერქომაიშვილთან)

გადასახადმა მოლოდინს გადააჭარბა.

ამ ჟამად სწარმოებს გადამხდელთა სიების შედგენა. ამ საქმის მოთავების შემდეგ გამოირკვევა, თუ რამდენი უნდა შემოვიდეს სამივე რესპუბლიკის გადასახადებიდან. მაშინ ზედმიწევნით გამოირკვევა რამდენის მოცემა შეუძლიან თითეულ რესპუბლიკას. ადგილ და ადგილ ეს სამუშავო დამთავრებულია და ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ვარაუდი, რომელიც საფუძვლად დაედვა გამოანგარიშებას, ეხლა უნდა გადიდდეს. დაახლოებით ანგარიში აზერბეიჯანის შემოსავლისა საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ გადასახადი გაცილებით მეტს მოგვცემს. ასევე უნდა ვიფიქროთ საქართველოსა და სომხეთზედაც.

მუშაობაში დაბრკოლება არის.

გადასახადის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრი თავის დროზე ვერ უწევს ინსტრუქტორობას ადგილებს. ეს გარემოება კი თავის მხრივ იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი მუშაკნი თავის დროზე ვერ გვაწვდიან ცნობებს.

ასეთი მდგომარეობა საჭიროდ ხდის ცენტრიდან წარმომადგენლების გაგზავნას ადგილობრივ.

მოსავლის პირი.

წლევანდელი მოსავალი თუ მეტი არა, ნაკლები მაინც არ იქნება შარშანდელთან შედარებით, გარდა იმ ადგილებისა, სადაც სტიქიურმა უბედურობამ დააზიანა პირნახული. ქუთაისის გუბერნიაში შემჩნეულია ნათესი ადგილების შემცირება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ გლეხებს დიდი თადარიგი ჰქონდათ შარშანდელი სიმინდის მოსავლიდან. თუ სიმინდის განაღდების საქმე, ახალი პირნახულის აკრეფამდე არ მოგვარდა, მაშინ ეს გავლენას იქონიებს გადასახადის აკრეფაზე. განსაკუთრებით დიდ გავლენას მოახდენს სასოფლო მეურნეობაზედაც იმ სოფლებში, სადაც გადასახადი ფულად აიკრიფება.

გადასახადის მხრივ რაიონებათ დაყოფა.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, საქართველო მთლიანად გამოცხადებულია ფულად რაიონად. ც. აღმ. კომიტეტი იმ მოსაზრებიდან გამოდიოდა, რომ მოჭარბებული პირნახული იქ მოიპოვება, სადაც მდიდრები არიან, ღარიბი ხალხი კი სურვილს გამოსთქვამს, გადასახადის ფულად შემოტანაზე. მაგრამ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ, მხედველობაში მიიღო, რომ სიმინდი ჯერ არ განაღდებულა და მისი განაღდების გაჭიანურება გავლენას იქონიებს მწარმოებელ რაიონებზე. ამის გამო შესაძლებლად სცნო გადასახადი აზდევინონ ნატურით, თუმცა უფლება ექნებათ ფულით გადახდისაც. ასეთი მაზრა საქართველოში არის 5, ასევეა აზერბეიჯანსა და სომხეთშიაც.

გადასახადის აკრეფის წესი.

რა წამს სიები დამზადებული იქნება და გამოანგარიშებაც დასრულდება—ეს კი ახლო მომავლის საქმე ფულად რაიონებისათვის,—მაშინ მთელი ცნობები თავისი აპარატით გადავა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში, გადასახადთა ფურცლების შესადგენად და ფულის ასაკრებად. ნატურით გადამხდელ რაიონებში გადასახადის ასაკრებად დაგვჭირდება ორი ამკრეფი აპარატის გამოყენება—ერთი იქნება საერთო ტიპისა—ფულით გადამხდელთათვის, მეორე კი—ნატურით გადამხდელთათვის.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(16 ივლისი).

ჩერვონცები — — —	16,200
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	15,800
ჩეკები —	13,900
დოლარი ეფექტ. — —	3,350
ჩეკები —	3,100
ოსმალ. ქაღალ. ლირა —	2,400
იტალიური ლირა — —	120
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	180
საბჭ. ფულ. ნიშ.	1 მ. 18 სამ. მეოთ.

მუშკოპის ფასები.

(17 ივლისი).

შაქარი რაფინადი—680 ათ., ფხვნილი შაქარი—500 ათ., ერბო 680, კარაქი—960 ათ., ზეთი—200, ბრინჯი—150, თუშური ყველი—400 ათ., ბურღული—75, ღერღილი—50 ათ., კართოფილი—35 ათ., ლობიო წითელი—20 ათ., მწვანე ლობიო—75 ათ., ძროხის ხორცი—350 ათ., პური 2 ხარის. 75 გირ. ფქვილი—100 ათ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(17 ივლისი)

პური 1 ხარ. 90—100 ათ. გირ., ხორცი ძროხის 300—350 ათ., გირ., ცხვრის ხორცი—400 ათ., შაქარი რაფინადი—850 ათ., შაქრის ფხვნილი—650 ათ., ერბო—680—700 ათ., კარაქი—700 ათ., ზეთი—300 ათ., ფქვილი—110—120 ათ., ბრინჯი—150 ათ., ბურღული—70—200 ათ., ქართოფილი—40 ათ., ლობიო მწვანე—80—100 ათ., კომბოსტო—50—70 ათ. საპონი 450—550 ათ. პამიდორი—200 250 ათ., კვერცხი ათი ცალი—380 ათ. ყველი თუშური—400 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოწოდება.

(17 ივლისს)

ფეხსაცმელი მამაკაცის, მინა ფანჯრის, შაბიამანი ინგლისის, ამერიკ. ფეხსაცმელი, ლურსმანი სააღმშენებლო, ბაწარი, წუმწუმა რუს. საპნის სუროგატი, რეზინის ცრესტის ნაწარმოები, ფართალი რუს. ტყავების სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი ნოვროსიისკის, ყუბანის ფქვილი უმაღლესი, 1, 2 და 3 ხარისხის, ქატო, მაკარონი, ვერმიშელი რკინეულობა ურალის, ერბო, ყველი შვეიცარიული. ჩაი „ცეილონი", მარილის სინდიკატის პროდუქცია.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(17 ივლისს)

ფქვილი უმაღლ. და 1 ხარისხ. ცემენტი პორტლანდის, ნარმა, რკინეული, ულტრა მარილი, სოდა კაუსტიური, თივის დასატკეპნი მანქანა, გოგირდი „ბუდა" მაკარონი და ვერმიშელი, სარდინები, ჩაი „ცეილონი" ტომრები, ყველი შვეიც. მინა ფანჯრის ტყავი-ნედლი. ლურსმანი სააღმშენებლო ქვამარილი ნახჩევანის და ბახმუტის, ფეხსაცმელი ავსტრიის, ძნის შესაკრავი თოკი, შაბიამანი, სკიპიდარი, თუნუქი თეთრი ინგლისური

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

ტყავეულობა ნედლი 3500000 ფუთ. გამყიდველის ფრანკო საწყობი, ფქვილი ყუბანის 1ხარისხის 2 მან 45 კაპ. თითო ტომრითურთ 2 ხარისხის 2 მ. და 10 კაპ. 3 ხარისხის 1მ. და 45 კ. და 4 ხარისხის 1 მ. და 10 კაპ.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(17 ივლისს)

პურის ხორბლის და შაქარს ბაზარზე ფასები წინანდებურად მატულობს დანარჩენ ბაზარზე მდგომარეობა უცვლელია.

რ. ს. ს. ფ. რ. სახელმწიფო სპირტის ტრესტის მიზანი და დანიშნულება ამიერ-კავკასიაში.

რუსეთს ყოველთვის სჭირდებოდა არამარტო ხორბლეულობის გაზიდვა, არამედ სულადიდან დამუშავებულ ნაწარმოებთა გაყიდვაც, ამ მხრივ უპირველესი ადგილი ეჭირა სპირტსა და სპირტის ნაწარმოებთ. არაყის გამოხდა რუსეთში თვალსაჩინო როლს თამაშობდა სახელმწიფო მეურნეობაში. ყოველწლივ იხდებოდა 30 მილიონი ვედრო სპირტი და საზღვარგარედ იგზავნებოდა 5 მილიონ ვედროზე მეტი. რუსეთის სპირტის ტრესტმა ამიერ-კავკასიაში მოაწყო თავისი სამმართველო, რომელიც სპირტის ნაწარმოებს აწვდის სამკურნალო და ტეხნიკური საჭიროებისათვის კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო-სამეურნეო სამმართველოს, ჯანმრთელობის განყოფილებას, ამიერ-კავკასიის რკინის გზას, კავკასიის ცალკე არმიის საბეითლო ნაწილს და სხ. ამის გარდა რუსეთის სპირტის ტრესტის სამმართველო მიზნად ისახავს კვლავ დაიბრუნოს დაკარგული უცხოეთის ბაზრები, რომელთაც სპირტის მოთხოვნილებას დღემდე აკმაყოფილებდა ამერიკა.

ამას გარდა თვითონ ამიერ-კავკასიაშიც, სადაც ბევრი ხრიოკი ადგილებია და ხორბლეულობა საკმაო არ მოდის, უმთავრესად რუსეთიდან შემოჰქონდათ პური. აქედან ცხადია

მუშათა ცხოვრება

ვასო რონიშვილის საღამო

1923 წ. შაბათს 14 ივლისს ნაძალადევის მუშათა თეატრში გაიმართა მუშა-მგოსან გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორ ვასო რონიშვილის საღამო, მისი 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. საღამოს თუმცა ცუდი დარი იყო, მაგრამ მაინც ხალხი ბლომად დაესწრო, უმთავრესად 1-ლი რაიონის მუშები, რომელთაც პატივი სცეს თვის მოძმე მუშას-მგოსანს თვისი დასწრებით საღამოზე.

თეატრის აივანზე უკრავდა სამხედრო მუსიკა, მუშების სახეზე ღიმილი და სიხარულის ნიშანი აღიბეჭდებოდა, რადგანაც ასეთი საღამო მუშკორისა პირველი არის საბჭოთა-ხელისუფლების 3 წლის საქართველოში არსებობის განმავლობაში. ადგილობრივ ქართულ დრამატიულ დასის მიერ მსახიობ პ. ფრანგიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იყო შიუკაშვილის 3 მოქ. დრამა „ხულღილი“. კარგი იყო თვით ფრანგიშვილი „გიორგი ბარათაშვილის“ როლში, დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ; პიესა მწყობრად ჩატარდა, რაც მიეწერება პ. ფრანგიშვილის დაუღალავ და ენერგიულ მუშაობას და აუდიტორიამაც ღირსეულად დააჯილდოვა.

პიესის შემდეგ დაიწყო მილოცვა ვასო რონიშვილისადმი.

აიხადა ფარდა და სცენაზე ირგვლივ მოეწყვნენ გაზ. „კომუნისტი“-ს მუშაკ-კორესპონდენტები, მუშა-მგოსნები და მსახიობები. პირველად მიესალმა გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის სახელით ამხ. მალაშხია, რომელმაც წარმოსთქვა თბილი შინაარსიანი სიტყვა, აღნიშნა რა მუშა-მგოსნის მნიშვნელობა და დანიშნულება, დასძინა, რომ ასეთი საღამო იმართება პირველათ და უსურვა გამარჯვება და დღეგრძელობა, როგორც ვასო რონიშვილს, ისე მის საპატივცემლოთ შეკრებილ ამხანაგ მუშებს.

შემდეგ მუშა-მგოსნებმა შინატეხელმა, ჩარხიშვილმა, გიგო ხეჩუაშვილმა, ჯაბაურმა ძღვნათ ფ. რონიშვილისადმი წაიკითხეს ლექსები, თვით რონიშვილმაც წარმოსთქვა ლამაზი ლექსი. სახუმარო სცენები შეასრულეს ამხ. სალაყაიამ და ელიაშვილმა, ფრანგიშვილმა კარგად შეასრულა „ურმული“ საღამო დასრულდა ღამის 1 საათზე.

მუშური მადლობა ამხ. პ. ფრანგიშვილს გაწეულ შრომისათვის, თეატრის ადმინისტრაციას, და გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას, რომელმაც ხელი შეუწყო რონიშვილს საღამოს მოწყობაში.

დამსწრე მელითონე.

რკინის გზის მუშებში.

ტფილისის რკინის გზაზე არც ერთი სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობა არ არის ისე ცუდი, როგორც სადგურის ქვაბის ამდუღებლების და დამგველი მუშების.

ამ მუშების რიცხვი აღწევს 20-მდე, მათი ჯამაგირების ნორმა განსაზღვრულია არა უმეტეს 1-ლ და მე-2 ხარისხებით.

შრომა მათი კი განუსაზღვრელია. ამ მუშების ადგილკომმა მიხედა მათ ცუდ მდგომარეობას და ადგილობრივ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას წინადადება მისცა, რომ გადიდებულ ყოფილიყო აღნიშნულ მუშათა ხელფასი.

კომისიამ ეს საკითხი ვერ გადასჭრა და ის საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცა ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირში არსებულ ცენტრალურ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას, რომელიც ეჭვი არ არის ამ დარგის მუშების უმწეო მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევს და გაუდიდებს ხელფასს.

მუშკორი.

სამკითხველო საავადმყოფოში.

რკინის გზის საავადმყოფოს ტფილისში აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა. მას მეტად მოწყურებული მკითხველები ყავს.

რადგანაც ავადმყოფი, თუ ის ძლიერი ავადმყოფი არ არის, კითხვა კიდეც რომ არ უყვარდეს მას თავისუფალი დრო აქვს და ძალაუნებურად სამკითხველოსაკენ მიისწრაფის. ამისთვის იქ აუცილებლად უნდა მოიპოვებოდეს საჭირო ლიტერატურა.

ამ მხრით კი ეს საავადმყოფო სამწუხაროდ ვერ დგას თავის სიმაღლეზე

იქ ძალიან ცოტა წიგნები მოიპოვება და ის, რაც არის, ერთფეროვანი შინაარსისაა. ამას გარდა სამკითხველოს მხოლოდ ივლისიდან მოსდის შემდეგი გაზეთები: „გუდოკი“, „რკინის გზელი“ და „ზარია ვოსტოკა“. სხვა ადგილობრივ გაზეთებს კი აქ ვერ დაინახავთ.

საჭიროა რკინის გზის პროფკავშირმა გამოიწეროს ბიბლიოთეკისათვის ყველა ადგილობრივი გაზეთები. და ამასთანავე შეავსოს ის შინაარსიანი წიგნების საკმაო რაოდენობით.

მუშკორი ჩხმელი.

ძალა ერთობაშია.

კოლოფების ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა სახელით, კომუჯრედიდან ჯალალ-ოღლში მოვლინებულ ამხანაგების საშუალებით, კავკასიის ცალკე პოლკს გაეგზავნა მისასალმებელი წერილი, რომელშიაც მხურვალე სურვილები იყო გამოთქმული წითელ ცხენოსნებისადმი. ამის პასუხათ პოლკის წითელარმიელებისა, საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობის საერთო კრებამ მუშებსა და მოსამსახურეებს გამოუგზავნა წერილი. ეს წერილი გამოხატავს გაერთიანებას და გვაკავშირებს ჩვენ, მუშებს წითელარმიელებთან ძმობის მტკიცე ჯაჭვითა და ინტერესების ერთობით. შეიძლება ხმა მაღლა უთხრათ ყველა ჩვენ მტრებს, რომ ჩვენ სადარაჯოზე ვდგევართ, ჩვენ საბჭოთა სინამდვილეში გვყავს ისეთი ძალა, რომელსაც ვერ დაამარცხებენ საერთაშორისო მტაცებლები; ეს ძალა არის მშრომელი მასების კლასიური თვითშეგნება. ისინი გვწერენ ჩვენ: „ძნელია წერილით და სიტყვით ბევრი[illegible] იმისი, თუ როგორ ამტკიცებენ წითელი ცხენოსნები თქვენ მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ წითელი არმია დაიცავს შრომას და მისი მუშაობის პირობებს, სადაც და როგორც არ უნდა იყოს ეს.

თქვენი დაუღალავი მუშაობის საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრება დღითი-დღე უმჯობესდება.

საუკეთესო ნიშანი ჩვენი სიძლიერისა, როგორც არმიის და ყოველდღიურ ფხიზელ სწავლის, როგორც სამწყობრო, ისე პოლიტიკურ სფეროში, არის თქვენი მშვიდობიანი შრომა, რომელიც ფოლადის ხიშტებითაა დაცული ყოველგვარ შესაძლებელ თავდასხმისაგან.

ეს ურთიერთ კავშირი—ძირითადი საწინდარია ჩვენი მუშაობის.

ასე იყო დიდებულ ოქტომბრის პირველ წითელ დღიდან, ასე არის და იქნება, სანამ ასეთავე ოქტომბრით არ აწითლებდა მთელი ქვეყანა და ერთგული ჩაქუჩი მუშის დაკოჟრილ ხელში არ დაამსხვრევს იმ ჯაჭვს, რომელიც დადებულია მშრომელთა ფართო მასებზე საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ.

ჩვენ, ძვირფასო ამხანაგებო, არც ერთ წუთსაც ეჭვი არ გვეპარება იმაში, როგორიც მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი მუშაობის პირობები, ჩვენ სულით არ ვეცემით. ჩვენ გვწამს ჩვენი გამარჯვება, რადგან ჩვენ ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას არ სჩვევია შეცდომები.

ჩვენ არ ვცილდებით ამ ავანგარდს და ხელი-ხელ ჩაკიდულნი მივდივართ თქვენთან ერთად. და წავალთ გამარჯვების მოსაპოვებლათ. გაუმარჯოს ნამგალსა და ჩაქუჩს მშრომელთა მასების ხელში, რომელნიც სოციალისტურ სამშობლოს აღსადგენათ მუშაობენ.

გაუმარჯოს ხიშტს და ხმალს წითელი არმიის ხელში, რომელიც იცავს ამ შრომას

გაუმარჯოს ჩვენს შეერთებულ მჭიდრო კავშირს.-“

მუშკორი როტინოვი.

რომ ამიერ-კავკასია ვერ იქნებოდა არყის გამომხდელი ქვეყანა. საქართველოში არსებობდა ორი არყის ქარხანა—აბასთუმნისა და გომისა, რომლებიც, ნედლი მასალის უქონლობის გამო ხშირად არ მუშაობდენ და წელიწადში იძლეოდნენ მხოლოდ 2 მილიონ გრადუს არაყს.

რუსეთის სპირტის ტრესტის სამმართველო მიზნად ისახავს სპირტეულის უცხოეთში გაზიდვას და იკვლევს იმ საშუალებებს და ზომებს, რომ ადგილობრივ ამიერ-კავკასიაშიაც ხელი შეუწყოს ღვინის წარმოებას. სპირტის ტრესტის რწმუნებულმა უკვე მოაწყო მთავარი საწყობები ტფილისში, ბათომში და ბაქოში და შეუდგა ენერგიულ მუშაობას უცხოეთის ბაზარზე სპირტეულის გაზიდვის მოსაწყობათ.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა

(საუბარი „ჩემო“-ს დირექტორ კ. თუმანიშვილთან).

„ჩემო“-ს საზოგადოებამ შავი ქვის გაზიდვა დაიწყო 1919 წლიდან, როდესაც შავი ქვის ბაზრები, დარდანელის სრუტეს დახურვის გამო, ხელში ჩაიგდეს მეტოქეებმა. საქართველოს გასაბჭოებიდან „ჩემო“-მ განაახლა შავი ქვის გაზიდვა მეტად მძიმე პირობებში. ამ წლების განმავლობაში ამხანაგობას ბევრი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა როგორც საგარეო ბაზარზე, ისე სახელმწიფოს შიგნიდაც.

საჭირო იყო მოწესრიგება აპარატისა შავი ქვის დატვირთვისა და გაზიდვისათვის. ანგარიში უნდა გაგვეწია საზღვარგარედ საბანკო ოპერაციების უქონლობისათვის და საქმე უნდა გვეწარმოებინა ვალიუტის საშინელი რყევის პირობებში, რომელიც შეუძლებლად ხდიდა სწორი კალკულიაციის წარმოებას.

„ჩემო“-ს საზოგადოებამ სძლია ყველა დაბრკოლებებს და მთავრობას შესძინა არა ერთი ათეული ათასი გირვანქა სტერლინგი მოგება.

დიდი ნივთიერი ზარალისა და თავგამოდებული მუშაობის წყალობით საზოგადოებამ შესძლო დაკარგულ ბაზრების დაბრუნება, ასწია ფასი შავ ქვაზე და გაზიდვის საქმეც გააფართოვა. 1922 წელს გაზიდული იყო 136,000 ტონა შავი ქვა, წელს კი ივლისამდე ე. ი. ნახევარი წლის განმავლობაში გაზიდულია 168,000 ტონა. ე. ი. ნახევარ წელიწადში იმაზე მეტია გაზიდული, ვიდრე შარშან მთელი წლის განმავლობაში გავიტანეთ. წელს შარშანდელთან შედარებით ფასმაც იმატა 50 პროცენტით. თუ 1922 წელს მთავრობამ შავი ქვის გაზიდვისაგან მიიღო 70,000 გირვანქა სტერლინგი, წელს სახელმწიფოს შემოსავალი ამ დარგიდან 200—250 ათას გირვანქა სტერლინგს უნდა უდრიდეს. მაგრამ შავი ქვის მრეწველობა ისეთ მწვავე კრიზისს განიცდის, რომ თუ მუშაობის პირობები არ შეიცვალა, მაშინ მთავრობას ნაკლები მოგება დარჩება, ვიდრე 1922 წელს. ამისი მიზეზი გახლავთ უცხოეთის ვალიუტის კურსი. ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა უმთავრესად უცხოეთის ბაზარს აწვდის თავის პროდუქციას და თავის ნაწარმოებს ანაღდებს უცხოეთის ვალიუტაზე. შავი ქვის მრეწველობაში კი ხარჯებს ისტუმრებს საქონლის მანეთით ადგილობრივი ფულის ნიშნებით.

ეს გარემოება უცხოეთის ვალიუტის სრული გავლენის ქვეშ აყენებს ჭიათურის შავი ქვის წარმოებას: ამ ვალიუტაზე კურსის აწევის დროს მოგება იკლებს და ბოლოს დადგება ისეთი დროც, როდესაც მრეწველობა ზარალის მეტს ვერას ნახავს. სწორედ ასეთს მოვლენას აქვს ადგილი ამჟამად შავიქვის მრეწველობაში. 1 იანვრისათვის გირვანქა სტერლინგის კურსი იყო 1,185 მან. ოქრ. ეხლა კა, როდესაც გირვანქა სტერლინგის კურს 5 მან ოქროზე ჩამოვიდა, მოგების მაგიერ უკვე ზარალი მოაქვს (თითო ტონაზე 9 მ. ოქროთი). ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ შავიქვის მრეწველნი სჩივიან შავი ქვის კრიზისზე. შავიქვის მრეწველობის განვითარებაზე კი ბევრათ არის დამოკიდებული საქართველოს კეთილდღეობა.

მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია და საჭიროა, რაც უნდა მოხდეს, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. იმის იმედი, რომ მადანზე ფასი აიწევს, მისი თვითღირებულება დაიკლებს, რკინის გზის ფრახტი ან მუშათა ხელფასი შემცირდება-დღევანდელს პირობებში ან უაზრობაა ან შეუძლებელი.

ერთად-ერთი ხსნა არის უცხოეთის ვალიუტაზე კურსის გადიდება.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირში.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა.

განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობის გახსნა შეუფარდოს სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა ყრილობის დღეს.

რაიადგილკომების მუშაობა.

ამხ. მეგრელიძემ, კავშირის ინსტრუქტორმა დაათვალიერა ყველა რაიადგილკომები. რაიადგილკომების დათვალიერების დროს უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა ხელფასის სისწორის დაცვას და მასსთან ხალხთან კავშირს. ყველაზე კარგად მუშაობენ 2, 4, 7 რაიადგილკომები, საშუალოდ 3, 5, 6, 9, მოისუსტებენ 1,—8 რაიადგილკომები.

რამდენი წევრია თვითეულ რაიადგილკომში.

პირველი რაიადგილკომი აერთიანებს 276 წევრს. ამ ადგილკომში შედიან სახ. უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის მუშაკნი, მეორე რაიადგილკომი აერთიანებს 47 დაწესებულებას და ჰყავს 800 წევრი, მესამე ადგილკომში ითვლება 600 წევრი, მეოთხეში—593 წევრი, მეხუთეში—398 წ. მეექვსეში—367 წ. მეშვიდეში—786 წ. მერვეში—450 წ. მეცხრეში 212 წ. რაიადგილკომებში

სწარმოებს კულტმუშაობა, არსებობს პოლწრეები.

მედიკო-სანიტ- კავშირში.

პროფდისციპლინა.

კავშირის წევრთა შორის კარგი ურთიერთობის დასამყარებლად ყურადღება აქვს დათმობილი პროფდისციპლინას, ესე იგი წესებს, რომელიც უნდა სავალდებულო იყოს პროფკავშირის წევრისთვის.

საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა.

საორგანიზაციო განყოფილებამ ივნისის თვეში მოახდინა დათვალიერება ყველ ადგილკომის, მოაწყო კრებები, სადაც ჩატარა კამპანია ურთიერთ დამხმარე კასის და ჟურნალ „მედიკო-მუშაკის“ სასარგებლოდ.

სექციების მუშაობა.

მედიკო-სანიტ. კავშირის სექციები, როგორიც მაგალითად არის: სააფთიაქო, საექიმო, ზეითან და კბილის ექიმთა სექციები მუშაობენ ცენტრალურ კავშირის დადგენილებების თანახმად, საერთოდ სექციების მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შორის.

ივნისის თვის განმავლობაში კავშირმა ახალგაზრდათა შორის მოაწყო 9 კრება, სადაც ახსნილ და განმარტებულ იქნა ახალგაზრდათა უფლებრივ მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით იმ ამხანაგებისა, რომელნიც არჩეულ არიან ადგილკომებში და განაგებენ ახალგაზრდათა საქმეებს. ასეთივე კრებები გათვითცნობიერების მიზნით მოწყობილ იქნა ქალთა შორის.

წითელ ჯარში

საკავშირო ასეულში.

ა. წ. 8 ივლისს შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის მორიგი კრება.

დღის წესრიგში სხვა საკითხებთა შორის იყო მოხსენება „დეზერტირობის წინააღმდეგ“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სამხედრო კომისარმა ამხ. მაჩიტაძემ, მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქმნა სათანადო რეზოლიუცია.

წერა-კითხვის საქმე № ლეგიონში.

წერა-კითხვის საქმე № ლეგიონში საგარაკოთ გასვლის შემდეგ მიმდინარეობდა ნორმალურათ და მოსალოდნელი იყო, რომ ამ ცოტა ხანში მოხდებოდა წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია, მაგრამ ერთმა გარემოებამ ძალიან შეუვიშალა ხელი: სახალხო განათლების კომისარიატმა, იმ შენობაში, სადაც სწავლობდენ წითელ-არმიელები, მოაწყო ორ-თვიანი მასწავლებლების კურსები და ნაწილი იძულებული შეიქმნა დაენებებინა თავი შენობისათვის, რამაც ძალიან შეაფერხა საქმე. მაგრამ ნაწილში მომუშავე ამხანაგები სულით არ დაეცნენ და იმ დღესვე შეუდგნენ სკოლის მოწყობას; აწყობენ სკოლას ყაზარმებში და ამ ცოტა ხანში ისევ დაიწყობა მუშაობა

15 ივლის დაიწყება კავკასიის განსაკუთრებული არმიის ოლიმპიადა, სადაც მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ნაწილებიც.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **სანატორიუმ „შოვის“ სასარგებლოთ.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა: 21 ივლისს თბილისში მოაწყოს სანატორიუმ „შოვის“ სასარგებლოთ შემოწირულების დღე.

— **მაღაზიების გაღება-დაკეტვის დრო.** ზაფხულის სეზონის განმავლობაში აღმასკომის დადგენილებით მაღაზიები გაიღება დილის 8 საათზე—8 საათის სამუშაო დღის დაცვით.

— **ბინის ქირები.** ბინის ქირები ნაანგარიშები უნდა იქნენ ოქროს მანეთის მაგიერ ჩერვონცებით.

— **ტრამვაის მოძრაობის გაგრძელება ღამით.** 13 ივლისიდან ტრამვაი იმოძრავებს ღამის 2 საათამდე შემდეგი მარშრუტით: ფუნიკულიორი, თავისუფ. მოედანი, რუსთ. პრ., კირკის ქუჩა, პლეხანოვის პრ. თეატრ აპოლომდე და უკან ამავე მიმართულებით.

— **ბაღების და სკვერების გადაცემა.** აღმასკომმა წინადადება მისცა სადგილ-მამულო განყოფილებას ყველა ბაღები და სკვერები გადასცეს უძრავ ქონებათა სამართველოს.

— **ამხ. კამოს ხსოვნის აღსანიშნავად.** აღმასკომმა ამხ. კამოს ხსოვნის აღსანიშნავად საღამოს მომწყობ კომისიას გადასცა 200 მილ. მანეთი.

— **ქალაქის ქუჩების და ხიდების შეკეთება.** წინადადება მიეცა ამხ. იტრიევს, შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა და გეგმა ქუჩებისა და ხიდების საფუძვლიანათ შეკეთების მიზნით.

— **კოჯორის აღმასკომის თავმჯდომარე.** კოჯორის აღმასკომის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ჩხეტია, მასვე დაევალა კოჯორის და მისი რაიონების აგარაკების მმართველობა.

განათლების კომისარიატში

— **მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.** 15 ივლისს ქ. ახალციხეში გაიხსნა მასწავლებელთა გადასამზადებელი ორ-თვე-ნახევრიანი კურსები.

— **ბრმათა სკოლა.** ივნისის განმავლობაში ბრმათა სკოლაში ირიცხებოდა 39 მოწაფე. მათ მიერ დამზადებულ ნივთების გაყიდვით შემოსავალი უდრის 379,110,000 მან.

— **თანხების განაწილება.** ივნისის განმავლობაში პროფ. განათ. მთავარ მმართველობამ გაუნაწილა თავის ქვემდებარე სასწავლებლებს შემდეგი თანხები: სახელმწიფო უნივერსიტეტს (სამოსწავლო წლისათვის) 3 მილიარდი მანეთი, მასვე გამომცემლობისათვის—2 მილიარდი და 200 მილიონი ექსკურსიების მოსაწყობათ. მუხაძის კლინიკას—600 მილიონი, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს—2 მილიარდი და 800 მილიონი, მუშათა ფაკულტეტის სექტორს—1 მილიარდი და თბ. მე-6 ტეხნიკუმს—500 მილიონი. სულ 11 მილიარდი და 600 მილიონი მან.

რკინის გზაზე.

— **უსწავლელობის ლიკვიდაცია.** სად. ფოთის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში მოხდა გამოცდები, რომელიც სასურველათ დამთავრდა.

— **ბავშვების გაგზავნა საგარაკოთ.** ტფ. საუბნო რკინის გზის პროფკავშირის კულტგანყოფილებამ 1-ლი და მე-2 კერის ბავშვები საგარაკოთ გადაგზავნა სურამში.

შრომის ბირჟა

— **სოციალური ავადმყოფობა.** ივნისის განმავლობაში ბირჟის სამკურნალო ქვე-განყოფილების ცნობით აღრიცხულია დღემდე 8,818 ავადმყოფი, რომელნიც დაზღვეულნი არიან სოც. დაზღ. განყოფილების მიერ.

— **უმუშევრები.** 16 ივლისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 764 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—90 კაცი, გაიგზავნა სამუშაოზე—71.

სხვა და სხვა.

— **ფილოქსერა.** უკანასკნელი ცნობებით კახეთში ფილოქსერამ მიიღო ეპიდემიური ხასიათი, რომელმაც გააფუჭა მოსავალის სამი მეოთხედი.

— **ელექტრონის სადგური.** პირველი ლეგიონის კოოპერატივი ამ დღეებში მანგლისში აამუშავებს ელექტრონის სადგურს. ამავე კოოპერატივმა მანგლისში მოაწყო კინო, საჩაიე და სხ.

ხელოვნება

— **პროფესორები იტალიიდან.** განათ. კომ. არსებული მუსიკის განყოფილებამ იტალიიდან მოიწვია მილანის კონსერვატორიის ორი პროფესორი ქართული კონსერვატორიაში მუსიკის ხელმძღვანელებათ.

— **ქართული მუსიკის საღამო.** დღეს ცენტრ. მუშათა კლუბში კომპ. დიმ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება ქართულ მუსიკის საღამო, ოპერის თეატრის ახალგაზრდა მსახიობების მონაწილეობით.

— **მუშტაიდის კლუბის გამგეობის არჩევა.** ამ დღეებში არჩეული იქნა მუშტაიდის კლუბის გამგეობა 13 კაცისაგან. უმრავლესობა მუშებია.

პროვინციაში

გორის გამასწორებელი სახლი.

გორის გამასწორებელი სახლი სხვა სამაზრო გამ.-სახლებთან შედარებით საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. ამ დაწესებულების უფროსის საქმიანობით და დაუღალავი ენერგიით, აგრეთვე მისი ხელქვეითი თანამშრომლების ერთგული მუშაობით, ამ სახლის შენახვა ხდება ისეთი სამეურნეო წესით, რომ ხაზინას მის შენახვაზე არ სჭირდება ყველა ხარჯების გაღება. გამასწორებელ სახლს წელს აღებული აქვს გორის კომუნალურ განყოფილებიდან 10 დესეტინა ხეხილით გაშენებული ბაღი, აგრეთვე გორის პედაგოგიური ტეხნიკუმის ბაღი ზომით 3 დეს.

ხეხილით გაშენებული ბაღები მუშავდება პატიმრების შრომით და ისეთი კარგი პირი უჩანს, რომ ამ წელში მოსალოდნელია აუარებელი შემოსავალი, როგორც ხეხილიდან, ისე ბოსტნეულობიდან გამასწორებელ სახლშივე წელს სწარმოებდა აბრეშუმის ჭიის მოვლა, რომელსაც პატიმარი ქალები უვლიდენ, მაგრამ ამ დარგიდან შესაფერი შემოსავალი არ ყოფილა; ეს უნდა მიეწეროს თესლის უვარგისობას, რადგანაც სხვა კერძო მეაბრეშუმეებიც სჩივიან თესლის უვარგისობას.

მიუხედავათ ამისა გამსახლის თანამშრომლების შრომა არ ფასდება და მას ნაკლები ყურადღება ექცევა სათანადო უწყებიდან, რაც სჩანს შემდეგიდან: თანამშრომლებს ჯერ არ მიუღიათ აპრილის, მაისის და ივნისის შრომის ხელფასი, განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას, რადგანაც დიდ უმრავლესობას თანამშრომლებისას არსებობისათვის ჯამაგირის მეტი სხვა სახსარი არ აქვთ.

საჭიროა მათ მდგომარეობას სათანადო ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს, რომ ჯამაგირები თავ-თავიანთ დროზე იქნეს გაღებული.

ლიახვისპირელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია.

არასრულწლოვანთა მეურვეობის საქმის სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობიდან გამოყოფის დეკრეტის განხორციელებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის თანახმად, რომლის ძალითაც არა სრულწლოვანთა მეურვეობის საქმე სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობიდან გამოყოფილია, ეს მეურვეობა გადადის სახალხო განათლების კომისარიატის უწყებაში, ხოლო მეურვეობა სრულწლოვან სულით ავადმყოფთა, მფლანგველთა და წერა-კითხვის უცოდინარ ყრუ-მუნჯთა რჩება იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში. ამა დეკრეტის ასასრულებლად და ხსენებულ სახალხო კომისარიატთა ურთი-ერთი შეთანხმებით გამოიცემა ესე ინსტრუქცია ზემოაღნიშნული დეკრეტის განსახორციელებლად.

1. არა სრულწლოვანთა მეურვეობის საქმე გადაეცეს: იმ არა სრულწლოვანთა, რომელნიც სოფლად ცხოვრობენ—სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებას, თემის აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით; სამაზრო ქალაქის მცხოვრებთა—სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებას, ხოლო ქალაქ თბილისში მცხოვრებთა—განათლების სახალხო კომისარიატის არა სრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებას.

2. სახალხო მოსამართლეებმა არა სრულწლოვანთა სამეურვეო საქმეები და აგრეთვე ქონება, ფული და საბუთები უნდა გადასცენ ამა ინსტრუქციის 1 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა.

3. სახალხო მოსამართლეები ამა ინსტრუქციის მიღებისათანავე უნდა შეუდგნენ გადასაცემ მეურვეობათა სიების შედგენას და აგრეთვე მათ შესახებ საქმეების და გადასაცემი ქონებისა, ფულისა და საბუთების აღწერას. ეს სიები და აღწერილობანი შედგენილ უნდა იქნეს სასწრაფოდ და იმ ვარაუდით, რომ საქმეებისა, ქონებისა, ფულისა და საბუთების გადაცემა დამთავრებულ იქნეს ამა ინსტრუქციის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

4. მეურვეობათა სიაში აღნიშნულ უნდა იყოს: ა) მეურვეობაში მყოფთა სახელი, მამის სახელი, გვარი, ჰასაკი და საცხოვრებელი ადგილი, ბ) მეურვეთა სახელი, და საცხოვრებელი ადგილი, გ) აქვს თუ არა მეურვეობაში მყოფს ქონება, და თუ აქვს, სახელდობრ როგორი და სად არის, დ) საქმის № და დაწყების წელიწადი.

5. საქმეთა აღწერილობაში უნდა აღინიშნოს საქმის №, სახელწოდება, საქმის დაწყების დრო და ფურცლების რაოდენობა.

6. გადასაცემი ქონებისა, ფულისა და საბუთების აღწერილობაში უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის ქონება, რომელიც ინახება სახალხო სასამართლოში ან ამ სასამართლოს გამგებლობაშია. ამ აღწერილობაში, სათანადო საქმის დასახელებით, უნდა აღნიშნულ იყოს ქონების სახელწოდება, რაოდენობა, თვისება და სხვა საჭირო ცნობა; ფულის რაოდენობა და სად ინახება იგი, საბუთის სახელწოდება და ის, თუ ვისგან და როდის არის იგი გაცემული.

7. მეურვეობათა სია უნდა შესდგეს სამ ცალად, ხოლო აღწერილობა ორ ცალად. ერთი ცალი ყოველი სიისა და აღწერილობისა დარჩება სახალხო სასამართლოში, მეორე ცალი გადაეცემა იმ განყოფილებას, რომელიც მიიღებს სამეურვეო საქმეს, მესამე ცალი სიისა მეურვეობათა გადაცემისათანავე სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნოს განათლების სახალხო კომისარიატს.

8. ყოველ გადასაცემ საქმეს უნდა ჰქონდეს ამ საქმეში მოთავსებული ქაღალდების აღწერილობა.

9) სიისა, აღწერილობისა, საქმისა, საბუთისა, ფულისა და ქონების მიმღებმა გულმოდგინედ უნდა გადასინჯოს: ა) სწორედ არის თუ არა სია და აღწერილობა შედგენილი, ბ) დაცულია თუ არა ზემოაღნიშნული წესი და გ) შეესაბამება თუ არა სია და აღწერილობა გადანაცემ საქმეებს, ქონებას და საბუთებს.

10. ყოველი უსწორობა ან შეუსაბამობა თუ იგი საბოლოო გადაცემამდის არ იქნა შესწორებული, უნდა აღინიშნოს სიასა და აღწერილობაში ჩამბარებლისა და მიმღების ხელის მოწერამდე.

11. საქმეთა გადაცემისათვის უნდა შედგენილ იქნეს ოქმი სამ ცალად; ერთი მათგანი დარჩება სახალხო სასამართლოს, მეორე — განყოფილების წარმომადგენელს, რომელიც მიიღებს მეურვეობას, ხოლო მესამე დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნოს განათლების სახალხო კომისარიატში.

12. ოქმში უნდა აღნიშნულ იყოს ადგილი და დრო მისი შედგენისა, სახელი და გვარი სათანადო განყოფილების რწმუნებულისა, რომელიც მონაწილეობას იღებს ოქმის შედგენაში, ნუსხა გადაცემული სიებისა და აღწერილობებისა, გადაცემულ მეურვეობათა საერთო რიცხვი, რაოდენობა ფულისა და საბუთებისა და ის, შეესაბამება თუ არა სია და აღწერილობა გადაცემულ საქმეებსა და ქონებას, და აგრეთვე ყოველი შენიშვნა გადაცემის დროს შემჩნეულ უსწორობის გამო. ოქმი ხელმოწერილ უნდა იყოს ჩამბარებლისა და მიმღების მიერ.

13. თუ ვინიცობაა სახალხო სასამართლოს რაიმე ქაღალდი მიუვიდა, რომელიც შეეხება უკვე გადაცემულ საქმეს (მეურვის ანგარიში, შეკითხვა და სხვა), ეს ქაღალდი დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნოს კუთვნილებისამებრ.

14. სამეურვეო საქმე, რომელიც გადაცემის დროს სახალხო სასამართლოს ხელთ არ ექნება იმის გამო, რომ ამ საქმეზე სახალხო მოსამართლეთა საბჭოში საჩივარია შეტანილი, მიღებისათანავე უნდა შეტანილ იქნეს აღწერილობაში და დაუყოვნებლივ გადაიგზავნოს კუთვნილებისამებრ.

15. სამეურვეო საქმე, რომელიც ფიზიკურ პირს არ შეეხება (ქონების მეურვეობა, სასამართლოში აღძრული სარჩელის პასუხის საგნად დანიშნული მეურვეობა და სხვ.), და აგრეთვე სულით ავადმყოფთა, მფლანგველთა და წერა-კითხვის უცოდინარ ყრუ-მუნჯთა მეურვეობის საქმე არ უნდა იქნეს გადაცემული.

16. იმ პირის მეურვეობის საქმე, რომელიც გადაცემის დროს უკვე სრულწლოვანია (18 წლისაა), სახალხო განათლების განყოფილებას არ გადაეცემა, ხოლო ქონება უშუალოდ სრულწლოვანს ჩაჰბარდება.

17. მეურვეობის საქმე, სახალხო სასამართლოში მოსპობილი, უნდა ინახებოდეს სამი წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა [illegible] საზოგადო წესისამებრ.

იუსტიციის სახალხო კომისრის მაგიერ ბროცკი.
განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.
1923 წ. ივლისის 6.
ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ოთხშაბათს, 18 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტ. საპრ. განყოფ. ბინაზე დანიშნულია თათბირი საჰაერო ფლოტის კვირეულის ჩატარების საკითხის განსახილველად.

მოწვეული არიან წარმომადგენელნი: პროფკავშირის კულტ-განყოფილებისა, ტფილისის პოლიტ-განათლების განყოფილებისა, ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილებისა, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოსი, კავკასიის ცალკე არმიის და ქართული დივიზიის საჰაერო ფლოტის, კომისიებისა, კომ. ახალგაზ. კავშირის ტფილისის კომიტეტისა და საუბნო აგიტ-განყოფილებათა გამგეები.

საქართველოს კომუნისტური პარტის ტფ. კომიტეტის სააგიტ. საპრ. განყოფილება.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონის კომიტეტი აცხადებს, რომ ოთხშაბათს 18 ივლისს მ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის შენობაში შესდგება მეორე რაიონის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა.

მდივანი ნაზაროვი.

— ხუთშაბათს, 19 ივლისს, მე-4 უბნის ქალთა განყოფილება აწყობს დელეგატქალთა ექსკურსიას სასაკლაოს დასათვალიერებლად. ყველა დელეგატები და ქალთა ორგანიზატორები შეიკრიბებიან საუბნო კომიტეტის ბინაზე დილის 7 საათზე, საიდგანაც გაემართებიან საექსკურსიო ადგილისაკენ.

წინადადება ეძლევა ყველა ამხანაგ ქალებს თავის დროზე გამოცხადნენ, დაუგვიანებლად.

ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვა.

განცხადებები

პოლიტეხნიკური სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო გულითადი მწუხარებით აცხადებს ახლად კურს დამთავრებულ

დავით სამსონის ძე
ასათიანის
ტრაღიკულ გარდაცვალებას.

გვამი ასვენია რკ.-გზის საავადმყოფოს სამცხედროში.

№ 963—1—1

გიორგი ლევანტის ძე, და ზინა წილოსნები აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ მათი ძვირფასი შვილის

კაკოს

მოულოდნელათ გარდაცვალებას 7 ივლისს, დაბა სურამში.

(კვ. 971—1—1)

კოჯორის თემის აღმასრულებელი
კომიტეტი

აცხადებს კოჯორის აგარაკების დამქირავებელთა საყურადღებოთ, რომ იმ პირთ, ვინც ივლისის 20-მდე არ შემოიტანს მთლიანად აგარაკების სეზონის ქირას, აგარაკები ჩამოერთმევად. 512 2—1

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარიატი

აცხადებს, რომ პარასკევს, 20 ივლისს, დღის 2 საათზე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში (ყოფ. კადეტთა კორპუსი, შესავალი ევანგულოვის ქუჩიდან, ოთახი № 16) შესდგება

სიტყვიერი ვაჭრობა

მილიციისათვის საზაფხულო ტანსაცმლის შეკერვის იჯარით გასაცემათ, 3000 კომპ. რაოდენობით.

ცნობების მიღება ვაჭრობის შესახებ შეიძლება იქვე (ოთახი № 16) ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა.

(კრ. 511—1—1)

საჯარო ვაჭრობა

ქალ. მესამე საავადმყოფოს შენობის შესაკეთებლად თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს

საჯარო ვაჭრობას
ა. წ. 19 ივლისს დღის 12 საათზედ.

შენობასთან ორსართულიანი საადმინისტრაციო შენობის ასაშენებლად დანიშნულია ა. წ. 21 ივლისს დღის 12 საათზედ. ვისაც სურს მონაწილეობის მიღება აღნიშნულ ვაჭრობაში—წინადება ეძლევათ წარმოადგინონ თავიანთი განცხადებები **არა უგვიანეს დღის 12 საათისა** ქალ. ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში **19 ივლისს—21 ივლისს.** დახურულ კონვერტებში თვითეულ სამუშაოს ფასების ცალკე აღნიშვნით.

საწინდარი 200 მანეთი ოქროთი სავალდებულოა.

გეგმების და ხარჯთ-აღრიცხვას შეუძლიან გაეცნონ ქალ. აღმასკომის შენობაში (ოთხი № 46).

ქალ. ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება.

972 1—1

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვა-
ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—23

საჩხერის უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში, დ. საჩხერში. პორფილე მეთოდეს ძე ნიკოლაშვილს როგორც მოპასუხეს მის მეუღლე მაკრინე გარსევან გძელიშვილის ასულის მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა არ გამოცხადდება, დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

საჩხერის უბნის სახალხო მოსამართლე გ. წერეთელი.

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.